



დვჯის ლავინა

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

204 / 2
2005 / 2006

12

ზნაწარმოები.
კვირა
მონეტები
საინტერესო
ლოგოები
მომავალი
მნიშვნელობები
საინტერესო
კვლევა
საინტერესო
კვლევა

ზნაწარმოები.
კვირა
კვლევა
ლოგოები
საინტერესო
საინტერესო
კვლევა



2005
2006
№ 1-2



“ԴՆՆԵ ՏՄ ԵՄՐՈՒՄ ԵՏԵՐԵՄԻ ՈՒՐԱԿՆԻ ԵՆԴՏ ՏԵՎՈՒ ՉՈՒՈ ՆՊԵ
 ԲԱՏՏԱԿՐԱՏ. ԲԻՈՒՄ ԿՏԵՆ ԿՆԻՔԻՐՈՒՂՈՒ ՅՅՈՒՆՈՒՏ, ԵՐՈՒ ՏԲԻ ՍՈՂՈՐԱՏ
 ՏՐՈՆՏԵՐՈՒԿՄՈՒՆ ԲՐՈՂ ԴՆՆՈՒՆՏՈՒ... Ե՛ՏԲԻՄՈՒԿՐԱՅԻՆԻՐՈՒՏ, ԲԻՏԻ-
 ԵՐԱՐԻՐԻՂ ԿՆԻՐԱԿՄԻՐՈՒՆ ԲԱՏՅՂԱԿՐԱՐՈՒՆ ՈՒՏԻՔ. ՈՒԿ ՍՏԲԻՈՒՐՈՒՏ ԿՆԻՐՆԵ
 ԲՐՈՒՅՆՏՄԻ ՏՄՈՒՆԿՐԱՐՈՒՆ ԴՆՆԻ. ՍՏԲԻՈՒՏԲՈՒՏ ՅՂԻՆ ՏՄՆՈՂԻՐ, ԲՈՂՈՒՆ
 ՍՏԲՐՈՒՈՒՈՒ. ՍՈՒՐԻՆՏ ԴՏԲԻՈՒ, ՍՏՅԲԻՏՄ ԿՆԻՐՆԵ ԿՈՒՏԱԿՄԻՐՈՒՆՆԵ ՏՄՆՏԻՂ
 ԲԻՈՒ ՉՈՒՈՒՈ. ՏՄ ԵՈՒՄՈՒՐԻՔՏԵՂ ՍՂՂՈՒՄՈՒԿՐՈՒՅՈՒ. ԲԻՈՒ ՏԲԻՏԵ
 ԲԱՏՂԱՐՂՈՒ ԲԱՏ ԿՂՂՐՈՒՏՈՂԻՐԻ ԲՈՂՈՒՆ ՏՆՏՄՈՒՆՏԵՐԻՐ ՍՈՂՂՈՂՅՐՈՒՆ.
 ՍՏՄ ԲԻՏ ԿՂՈՒՐՈՒ ԲԱՏՅՂՂԻՐՈՒՆՏ՛”

125-11 



შინაარსი

კაფი და ლვინო

№1-2 (2005-2006 წ.)

საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის საქმიანობა-პოპულარული ჟურნალი

თავარი რედაქტორი
თამაზ შარვაშიანი
მხატვარი
ანდროს თოდუაძე
ტექნიკური რედაქტორი
ივანე ჯანაშიანი



რედაქტორის გარდა...	2
საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის საქმიანობა-პოპულარული ჟურნალი	3
ჩვენს სახლში...	17
კაფი ვინაიტი, ხიდად ჩხარტიანი, თურქეთის დღინტი	
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის მიზანობა	
ავრკედიანური ფაქტორების ვალუაბლანტი...	29
მეცნიერული - ფინიქსი თვლი	
წარსული, აწმულ, მინაქალი	32
<i>Григордзе В. А. - Микрорайоны качественного виноделия и перспективные сорта винограда Абхазии</i>	34
წერ გვრდები - გვიმინ-სუნიანი ღვინოების	
მისტერებისა და ღვინოების ქვეყნა	41
საქართველო - ღვინის პეკია	55
<i>G. Forn - Chronology Of Viticulture Areas Of Paradoimestication And Centres Of Domestication Of Grapevines</i>	56
ჯ. ფორნი - მევენახეობის ქრონოლოგია, ვინაიტი წინაბე	
ვაკულტურების (პარადომესტიკაციის) არეალი და	
ვაკულტურების ცენტრები	59
<i>L. Costantini, E. Kvanadze, N. Rutsishvili - The Antiquity Of Grapevine Cultivation In Georgia</i>	62
ლ. კოსტანტინი, ე. კვანაძე, ნ. რუციშვილი - ვინის	
კულტურების სინტეზი საქართველოში	71
<i>И. Турок, Д. Маградзе, Л. Трашви</i>	
Сохранение генофонда сараянского винограда - первоепенная проблема европейских амислиграфов	82
ი. ტუროკი, დ. მაგრაძე, ლ. ტრაშვილი -	
ავრკედიანური და სახელმწიფო მრეწველი	86
თვინოვანი ღვინოები	
მეცნიერების ხარისხების ფუნქციები	95
დუკანოზი ამბილი მრეწველი	
„სენ ხარ უნასი“ ვოლადისა ღვინოების	
ახალი შექმნილი სახელმწიფო მრეწველი	98
ღვინი და ვინაიტი	
თამაზ შარვაშიანი - ვინაიტი და ღვინოები	105
კვლეობები, მინაქალი, თვინოები -	
სინტი კახეთის ავროპული ვინაიტი	
ვაკულტურის ღვინოების ხარისხები	108
ვ. გვარდამია, ნ. ჩხარტიანი, თ. დღინტი	
მეცნიერული სახელმწიფო ღვინოების	
საქართველო ღვინოები მთავარი კავშირი (კლასიკური	
ვინაიტი) მრეწველი მრეწველის მრეწველი	115
თ. დღინტი, მ. ხოსტაშვილი, მ. ტრაშვილი -	
სინტი და ტრაშვილი	118
კაფი ვინაიტი - გვინის მრეწველი	
ავროპის	122

130



რამდამტორის გავარდა



ძირფასო მკითხველი!

2005 წელს შესრულდა 85 წელი ფურნალ - „ვაზი და ღვინოს“ და რ სტიდანი. მისი აღდგენის დღიდან კი - 13 წელიწადი. ფურნალის დაარსებ მ საიბილეო თარიღი იმითაც არის შესანიშნავი, რომ ზოლოსდამიძლის მ ექვლით მიგამკვლია, გავცნობილით და მკითხველისთვისაც გავგვეწერო წარ ნინებელი ქართველი მამულიშვილის, ჩვენი ფურნალის ერთ-ერთი დამფუ ნებლისა და პირველი რედაქტორის - ფანე ანდრონიკაშვილის ცხოვრების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები. რვა ათეულ წელს მტეი ხნის დღემდის შემდეგ ბატონი ფანე ანდრონიკაშვილის სახელი კვლ გავაღვრდა ფურნალ - „ვაზი და ღვინოს“ ფურცლებზე. იგი კვლავ ქართულ და მკითხველის ფურადღების ცენტრში მოეჭტა. მადლიერებით მოვიხსენიო ჩვენი დიდი წინამორბედი ვაწვეული უანგარო ღვაწლისთვის. მის მიერ გზ ვლილი ცხოვრების გზა კი ქვეყლიწყის ნათელ სვეტად ითითოული ჩვენი განისთვის.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების ისტორია შესახებ ერთობ მწირი მონაცემები ქვეყნდება. 80-იანი წლების ბოლიდან კი შესაძლებელი გახდა ისტორიის მივიწვებელი ფურცლების გამოძხურება, ცალკეულ პიროვნებათა მივიწვეული ღვაწლის გაშუქების მოვლენების შეფასება-განალიზება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი კი ის გახლავთ, რომ სამხრეთ კავკასია და კერძოდ, საქართველო დღე უკვე აღიარებულია ვაზის გაკულტურების ძირითად კერად ანატოლია-სირიისა და ჩრდილოეთ შუამდინარეთის რეგიონებთან ერთად. ქართველები (ვეფლისხმობ საზოგადოების ფართო წრეში) ნაკლებად ან შესაღებელია სრულგებობაც არ ვიცნობთ იმ ფართო სამეცნიერო-საიბიო საშუალებს, რომლებიც ინტენსიურად მიმდინარეობს ევროპის ქვეყნებში ვაზის გაკულტურების ისტორიის საკითხებზე, საქართველოს სკვდრი წილზე შეევენახება-მეღვინეობის განვითარების ისტორიაში.

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გენოფონდის საერთაშორისო ორგანიზაციის (IPCR) შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე შესაღებელი გახდა, მიგველო მასალები იტალიიდან ვაზის გაკულტურების ისტორიის ცალკეული პერიოდებს და ცენტრების შესახებ, რასაც სიამოვნებით ეთავაზობთ ჩვენი მკითხველნი.

ფურნალის წინამდებარე ნომერში მოთარგნება საქართველოს მხარეთა მევენახეობა-მეღვინეობის მიმოსღეთი ხასიათის მასალების გამოქვეყნება. ამ ნომერში მკითხველს ეთავაზობთ საქართველოს შავიზღვისსან რხლის (აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო) მევენახეობა-მეღვინეობის მიმოსღეთი. ამგვარად მოხერხდა აფხაზეთისა და გურიის ვაზის ჯიშების, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიულია მასალების მიწოდება მკითხველისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა წერილი აფხაზეთი ჯიშების შესახებ, რადგან ეს ჯიშები წარმოშობილია ვაზის ჯიშთა წარმოქმნის კოლხური კერიდან და მათ ისევე როგორც კახეთის, ქართლის იმერიის, გურიისა და სამეგრელოს ზოგიერთ უნიკალურ ვაზის ჯიშს, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ იხინი დავიწვებელი იყო, მაშინ როცა ეს ჯიშები საუკუნო დღინობს იძლევა.

ამგვარად აღარ დავინახელებთ უსახსრობის გამო, რაც დაუძლეველ სენად გვეჭტა. ჩვენი ფურნალი ართანამდებარეულად გამოცემის მიწეზაც ხომ ჩვენი ქართობიური შეჭირვებაა. იმედი ვიქონიოთ უკეთეს ხელოინდელი დღისა.

სიყვარულითა და პატივისცემით



საქართველოს მემკვიდრეობის შავი ზღვის სანაპირო ზონა

ნუზუარ მერაბიძე

საქართველოს მუკენახეობის შავი ზღვის სანაპირო ზონას უკავია კავკასიონის მთა-გრეხილის და მესხეთის ქედებს შორის დაბლობი მოსწინა გორაკებანი ტერიტორია და აქრდიანებს აუხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონებს. ზონა მდებარეობს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის პირობებში - დამახასიათებელი უხვნალექიანობით და ჰაერის მაღალი შეფარდებით ტენიანობით.

ქართველი მეურნის ვახსიანმა ჩაქოვიძემ სიყვარულმა და მის მიერ საუკუნეების მანძილზე მიმართულმა მიზანსწრაფებამ, ხელი შეუწყო, არც თუ ზღვსაყრელ ეკოლოგიურ პირობებში, ქართული ვახის შესაფერისი, ღირსეული წარმომადგენლებს; მაღალხარისხოვანი ღვინის მომცემი, სოკოვან დაავადებათა და ნაყოფის სადამპლის მიმართ კარგად გამძლე ჯიშების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ზონის აბორიგენული ვახის ჯიშები, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ჯიშებთან ერთად, მიეკუთვნება კულტურული ვახის ფორმათა წარმოქმნის კოლხეთის კრასს.

ჯიშების ეს ტიპი ხასიათდება ისეთი დომინანტური ნიშნებით, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ძლიერად შეზუსტულ, სუსტად და საშუალოდ დანაკთულ ფითილს, უმეტესად საშუალო ზომის მტკვანს, საშუალო ზომის, მოძრგვალო, წვნიან მარცვალს; კურძინის საკვიანო და ძლიერ საკვიანო სიმწიფის პერიოდს.

აღნიშნული ჯგუფის შვინით, გამოიყოფა სერთოდ მსგავსი, მაგრამ ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ჯიშები.

მაგალითად, შეიძლება მიეთითოს ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფის შემდეგ ღოკალურ, განსხვავებულ ნიშნებზე: გურიისა და აჭარის ჯიშების ჯგუფში, სამეგრელოს ჯიშებთან შედარებით გვხვდება უფრო მეტი აბლა-

ბუდისებურად შეზუსტული ფოთლიანები.

აჭარის, გურიის და სამეგრელოს ჯიშების მტკვანი უმეტესად ცილინდრულ-კონუსური და ცილინდრულია. აუხაზერ ჯიშებს ახასიათებს ძალიან ძლიერი ზრდის ღონე და ძალიან საგვიანო სიმწიფის პერიოდი.

უფრო ახლო ურთიერთობებით ხასიათდება, ერთი მხრივ აჭარის, მეორე მხრივ, გურიისა და იმერეთის ვახის ჯიშები.

აჭარა. აჭარაში დაბლობს უკავია მეტად მცირე ნაწილი კოლხეთის ვაკე-დაბლობის გაერძილებაზე ზღვის პირას. დანარჩენი რელიეფი ძლიერ დანაწევრიახებულია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მიეებს, მთისწინეთსა და ღრმა ხეობებს უჭირავს. მთავარი ხეობაა მდ. აჭარისწყლის. აჭარის ოროგრაფიის საფუძველს ქმნის მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედები, რომელთა შორის მდებარეობს აჭარის ქვაბული.

მესხეთის ქედის განშტოება - ქობულეთ-ჩაქვის ქედი - აჭარას ორ ნაწილად ჰყოფს: ზღვისპირა და შიგა მთიან აჭარად და ამავე დროს იგი კლიმატგამყოფია.

აჭარის რელიეფისათვის დამახასიათებელია ძლიერი დანაწევრება და მდ. აჭარისწყლის დონიდან საერთო ამფითეატრული ამაღლება. ხეობების ღრმად ჩაჭრა და ალაგ-ალაგ კანიონისებური ფორმა.

აჭარის ზღვისპირა ვაკედაბლობებზე ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ნალექების მაქსიმუმი შემოდგომა-ზამთარშია, მინიმუმი მაისში. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში ნოტიო ჰავა, ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული კი ჩანგრძლივი და თბილია. მდ. აჭარისწყლის ხეობის დაბალ ადგილს და ქვემო ფერდობებს ახასიათებს ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით



მშრალი, ცხელი ზაფხული. საშუალომთიან ზონაში ჰავა ნოტიოა, ზამთარი ცივი, ზაფხული ზანგრძობლივი და ცივი. ვაკე-დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურაა 14-15⁰, იანვრის საშუალო ტემპერატურა 6-7⁰, აგვისტოს - 22-23⁰, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-4200⁰ შეადგენს. აჭარა საქართველოში პირველ ადგილზეა ატმოსფერული ნალექების რაოდენობით (წლ. 2.500-2.800 მმ) ვაზი ხარობს აჭარის ვაკე-დაბლობისა, გორაკ-ბორცვიან და დაბალ-მთიან ზონაში.

ნიადაგები ძირითადად სიმაღლებრივ ზონებადაა განლაგებული. ზღვისპირა ვაკე-დაბლობზე და მდინარეთა ტერასებზე ალუვიური და სუბტროპიკული ეწევი ნიადაგებია, ხანაბრი გორაკ-ბორცვებზე და დაბალი მთების ქვემო კალთებზე უმთავრესად წითელმიწებია. დიდი ფართი უჭირავს ტყის ყომრალ ნიადაგს. საშუალო სიმაღლის მთების ზონაში გვხვდება მუქი ყომრალი ნიადაგები. ტყის ყომრალ და მუქ ყომრალ ნიადაგებზე კარგად ხარობს ვაზი.

აჭარის ვაზის ჯიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი ხასიათდება შემდეგი ნიშანთვისებებით. ახალგაზრდა ყლორტი - ძირითადად (77%) ქეჩისებურად შეუბუსული, გვხვდება აბლაბუდისებურად შეუბუსული (18) და ძალიან იშვიათად შეუბუსავი (5).

ფოთილი დიდი ზომის, მომრგვალი, სუსტად, საშუალოდ დანაკეთული, შეუბუსული ძლიერად ქეჩისებურად, ან უფრო იშვიათად აბლაბუდისებურად. მტკვანი - საშუალო ზომის, ცილინდრული კონუსური და კონუსური, ძირითადად უმწრო, გვხვდება დატოტყალი. მარცვალი საშუალო ზომის, მომრგვალი და მომრგვალო-ოვალური ფორმის. იშვიათად გვხვდება ოვალური მარცვლებიც. მარცვლის შეფერვა უფრო მეტად შავი და წითელი, უფრო იშვიათად თეთრი. აჭარის ვაზის ჯიშები, როგორც წესი, სიმწიფის საგვიანი პერიოდის და საღვინე მიმართულებისაა, უფრო იშვიათად გვხვდება სასუფრე მიმართულების ჯიშებიც. ვაზის ზრდის დონე - საშუალო და ძლიერი.

დღეს შემორჩენილია, აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდაძო ნაკვეთებზე ერთეული ძიბების სახით არსებული და აგრეთვე საკოლექციო ნაკვეთებზეა ფიქსირებული 22 აჭარული ჯიში. ესენია: აჭარული შავი, ალმუ-

რა თეთრი, ალმურა შავი, ბათიშურა, ბროლა ბუტკო, ღვანურა, ვინეში, კობურა, კლარჯულა ქორჩაულა, მკერენში, საფერავი ვაიო, საწურვი, ტავიბურა, თეთრა, ზოფათური, ცხნისისებუ, ტყეჭიბურა, ჩიტისთვალა, ჭოდი, ჩხუში. ძველ აჭარაში გვხვდებოდა დღეს უკვე გადაშენებული და დაცარებული ვაზის ჯიშები: ბურბელა, ვაჯავახეთურა, კაიკაციშვილისძეული თეთრი, ღვანური თეთრი, ღვიანური შავი, მათენაურ, მისკეთა, მორცხულა, მწვანურა, ორჯოხულა, პოყინდი, სხაღთური, ხარისთვალა აჭარულა წვითე, ჭიბაკური, შავშურა და სხვ.

ისტორიული წყაროების შეჯერებისა და საკუთარი კვლევის შედეგად: ვაზის ჯიშებს ამჟღავნებოდა დიდი დასახაიება და მათ შორის მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისებათა მანძილების გამოთვლის შემდეგ, საშუალებ მოგვეცა გამოგვეთქვა მისაზრებები ზოგიერთ მათგანის წარმომავლობის შესახებ.

აჭარის ჯიში **საწური** ავლენს სიხალღოვან სამეგრელოს პანეშთან, იმერეთის მამუკას სფერესთან და რაჭის ბახახთან. საწური ადგილობრივი, აჭარულია. ხშირად გვხვდებოდა აჭარაში XVIII საუკუნეში. ამ ჯიშის სიხალღოვნით ჩამოთვლილ ჯიშებთან, მიუთითებს ამ პირველადი ფორმების ფართოდ გავრცელებას რომლებმაც საწყისი მსკეცს ამ ჯიშის ფორმურებას.

აჭარული შავი მსგავსებას ამჟღავნებს გურულ ჯიშთან სხაღათუბანთან.

ჭეჭიბურა აჭარული ჯიშია, გვხვდება თითო-ორთა ძირის სახით ხულოს რაიონში. ამჟღავნებს გარკვეულ ურთიერთკავშირს სამეგრელოს ჯიშებთან ჭეშთან, ჭვიტლურთან, ჩხუშესთან და მათთან ერთად ასევე კოლხეთის ფორმათაწარმოქმნის ვარიანტის ტიპიურ წარმომადგენლად. ბათიშურა გარდა აჭარისა გვხვდება გურამშიც.

ბროლა - უთუოდ ადგილობრივი, საკმაოდ ძველი ჯიშია, რომელიც გავრცელებული იყო შუა და ზემო აჭარაში. მას XVII საუკუნეში, ადგილობრივი მოსახლეობა ღვინის დასაყენებლად იყენებდა. ჭოდი, აკად, ი. ჯავახიშვილის მონაცემებით, გარდა აჭარისა, გავრცელებული იყო გურამშიც. ზოფათური აჭარის ჯიშია. მრამიშვილის აზრით, ლიტერატურული წყაროების არასაკმარისობის გამო, მისი წარმოშობის

საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს საბილოდ გადაწყვეტილად. ქორაქულა ძველად ფართოდ იყო გავრცელებული ზემო და შუა აჭარაში.

ამისთანავე მისი მსგავსება და ურთიერთკავშირები აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან საფუძვლეს ვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი შორეულ წარსულში მონაწილეობდა აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშების ფორმირებაში.

კლარჯულის ჯიშის სამშობლოდ აკად. ი. ჯავახიშვილი თვლის შავშეთ-კლარჯეთს. მ. რამიშვილის აზრით, ადრე ფართოდ იყო გავრცელებული აჭარასა და გურიაში.

აღმურა თეთრი ძირითადად, მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდება აფგილობრივი ჯიშებისაგან და საქართველოში აღბათ შემოტანილია სხვა ქვეყნებიდან.

აჭარაში, შეგნახეობას უძველესი დროიდან უჭირა ხათანადო ადგილი სოფლის მეურნეობაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეღვინეობის უვალსაზრისით ძველად ნაკლებად შესწავლულ მხარეს წარმოადგენდა.

უნდა აღინაშნოს, რომ ძველად არსებული ჰითხონილებების მიხედვით ვაზის ჯიშები ცუდად არ იყო შერჩეული. სუფრისა და ცქრიალა, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების საწარმოებლად შერჩეული იყო ცოლიკოური, ალიგოტე, ჩხავერი, აბორიგენული აჭარული ჯიშო საწურთ.

სასუფრე ყურძნის წარმოებისათვის გათვალისწინებული იყო აჭარული ჯიშები ჯავახიკური, ხოფათაური, მისკიეტა, კლარჯული, კარნი თეთრი და ინტროდუცირებული ჯიშები: ბამბურავის მუსკატი, განჯური, მასლა.

ჯიშ **საწურის** გარდა ყურადღებას იმსახურებს აფგილობრივი ვაზის ჯიშში **ხოფათური**, რომელიც იძლევა საკმაოდ ხარისხოვან ღვინოს აფგილობრივი მოხმარებისათვის.

XIX საუკუნეში აჭარაში ვენახების ფართობი აღრიცხული არ არის. 1953 წლის ვენახების საკაემორო აღწერის მონაცემების მიხედვით აჭარაში ვენახების ფართობი 240 ჰა-ს შეადგენდა. აქედან ყველაზე მეტი ვენახი - 145 ჰა იყო ქედის რაიონში. ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდებოდა იმერული ჯიშო ცოლიკოური - 180 ჰა, არუ მთელი დაბლარი ვენახების 74%. აფგილობრივ მოსახლეობას, აჭარული ჯიშები,

სხუე ამგებული ჰქონდათ საკარმიდამო თებზე.

1990 წლისათვის დაბლარი ვენახების ფართობი აჭარაში გაიზარდა და იგი 280 ჰა-ს შეადგენდა. შემდგომში, არისწორად გატარებულმა მისწის რეფორმაც, თავისი უარყოფითი დადი შეგნახეობის განვითარებასაც დააჩნია. 100 ჰექტარის შემდგომად ვენახების ფართობები და 1999 წლისათვის იგი დაახლოებით 148 ჰა-ს უდრიდა. აქედან ქედის რაიონში შემორჩენილია 106 ჰა (ნაკვალად 145 ჰა-სა 1953 წელს).

კიდევ უფრო ნაკლებია ვენახების ფართობები შუახევის რაიონში - 13 ჰა და ხულოს რაიონში - სულ 6,5 ჰა.

აღნიშნული მდგომარეობის მოთმენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აჭარაში მოიპოვება ისტორიულად ცნობილი, ხარისხოვანი მევენახეობის ზონები, რომელთა მწყობში საყენება გადაუდებელ ამოცანას უნდა შეადგინდეს.

მდ. აჭარის წყლის ხეობა (ხულოსა და ქედის რაიონში), მისი ზოლი მდინარის ორივე მხარეზე, მთისწინა ვაკისა და ფერდობების გასწვრივ გამოსადგვია სუფრისა და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების მისაღებად შესაფერისი ვაზის ჯიშების გამოყენებით.

მთისწინა ვაკე და მთის ფერდობები განლაგებულია მდ. ჭოროხის ქვემო დინების გასწვრივ, აგრეთვე ხელსაყრელია მევენახეობა - მეღვინეობის განვითარებისათვის.

აჭარის დაბლობ რაიონში და საკურორტო ზონა ნაკლებად გამოსაყენებელია ხარისხოვანი მეღვინეობისათვის. აქ წარმატებით შეიძლება განვითარდეს სასუფრე ყურძნისა და უაღკომოლი წვენების წარმოება.

სუფრის თეთრი და წითელი ღვინოებისათვის ჯიშების განლაგება შემდეგ ზონების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად წარმოდგეს:

სუფრის თეთრი ღვინოებისათვის:

ჯიშო ცოლიკოური - ქედა-ვაიო-შუახევი, ალიგოტე-ქედა, შუახევი.

მოტკბო ღვინოებისათვის:

ჯიშო ცოლიკოური - დანდალო-შუახევი ჩხავერი - ქედა, შუახევი.

პერსპექტიული ჯიშები საწურავი, ხოფათური, კლარჯული, ბოლოა, ჯინეში, ცხენისძუბუ, ჯავახთურა.

ბ. შრიბა, გურიის ტერიტორიის უმეტესი



ნაწილი მოაგორიანია. გურიის ქედი, რომელიც იწყება მუსხეთის ქედოვან, გურიას იმერეთიდან ჰყოფს. ახასიათებს შეტად დაქანებული (40°) ფერდობები და დასერილია ხეცებითა და პატარა მდინარეებით.

გურიის აღმოსავლეთი ნაწილის მთისპირი ზოლი შეტად დასერილია სივრცისა და სიმაღლის ქედებითა და გორაკებით. გურიის დაბლობი ზონა გურიის ქედით იყოფა ორ დიდ მასივად. ქედის ჩრდილოეთ მხარეს მდ. რიონის და ფიონის დაბლობი, სამხრეთით მდ. სუფსისა და სატანგის ბარი. გურია უხვად არის მოფენილი მდინარეებით.

გურიის რაიონებში ყველაზე მეტად გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები და მათი სუსტად გაეწერებულა სახესხვაობანი (კუბუსიანა პრიონტი 15-20 სმ სისქეზე აღწევს და საკვები ნივთიერებებით სავსად ვალანობიანია, თხსანი და მძიმე თიხაში შედგენილობით (ალაგ-ალაგ ამ ტიპის ნიადაგებზე გენახებიც არის გაშენებული).

ნიადაგების შემდგომი სახესხვაობებია ყოვრალი და ყვითელმიწა ნიადაგები, რომლებიც თავისი თვისებებით უახლოვდება წითელმიწა გურიის ტიპის ნიადაგებს (ამ ტიპის ნიადაგებზე ვახს დამაკმაყოფილებელი ზრდა განვითარება ახასიათებს), ყურძნის პროდუქტია არ არის მალაჩხარისხიანი და განკუთვნილია ორდინალური ლენიონების მისაღებად (ჩისატაურის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილი, ამაღლება-ზომლითის მიმართულება და მცირე მასივების სახით რაიონის მთისპირა გორაკოვან ზოლში (მათიონ - მამათი-ჯიხანჯირი-ჩოჩხათა)).

ნეშომალა-კარბონატული ნიადაგები მცირე მასივების სახით გავრცელებულია გურიის მთისპირა ზოლში, 10-15 ფერდობებზე (ნასაკი-რალის ზონაში, დაბლაიხე, საყუევისტყის, ხიდისთავის, ამაღლების, გოგორეთის, შრომის, ზედობის, ჯუმათის, მამათის, ნიგვზიანის, ჩონჩხათის მდინარეებში). დაბლარი ვენახების მოსტეგებული ნაწილი განვითარებულია ამ ტიპის ნიადაგებზე - საკმაოდ ხარისხივან მასალას იძლევა თეთრი ლენის დასამზადებლად).

დაბლობ ზონაში გავრცელებული ეწერი ნიადაგები - ვახსითვის გამოუხადებარია.

დასავლეთ საქართველოს საერთო ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში გამოიყოფა გურიაში

ვახის ზრდა-განვითარების საფეხებს: 1. საკმაოდ დაბალი; 2. დაბლაიხის; 3. ასკანა-შემოქმედის; 4. შრომა-მერის; 5. გურიის ქედის ჩრდილოეთი მხარე; 6. ამავე ქედის სამხრეთი მხარე.

1. საკმაოდ დაბალი ზონა ზღვის სანაპიროდ საკმაოდ დაცილებულია (სიმაღლე ზღ. დონიდან 200-250 მ.) ხასიათდება შექცირებული ტენიანობით; აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3.000-3.265° საკმარისია ხარისხიანი ჯვინების მოსაღებად. 2. დაბლაიხის ზონა (ზღვის დონიდან 150-180 მ.), ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1540 მმ. ტენიანობა საკმაოდ მაღალი. ფერდობ ადგილებიდან, სადაც ტენიანობა შესაძლებელია მცირდება, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2.000-3.000° უდრის. მიღებული ყურძენი ხასიათდება საკმაოდ მაღალი ხარისხით.

გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები ახალგაზრდა ყლორტი-ქვისებურად შებუსულ ფლოლი - დიდი ზომის, მომრგვალო, სუსტად უფრო იშვიათად საშუალოდ დანაკეული, ქვისებურად შებუსული, იშვიათად კი აბლაბუდისებურად შებუსული. მარცვლო საშუალო ზომის მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, ხანდაზმე ოვალური. უმეტესად შავი ფერის. ყურძნის სიმწვეის პერიოდი საკვიანო და ძლიერ საკვიანო პროდუქციის სამეურნეო მიმართულება - ძირითადად საღვინე. ვახის ზრდის დონე საშუალო და ძლიერი.

დღეს არსებული, ფეხიანებული გურული ვახის ჯიშებია: აღდასტური, ბადაგი, ჯანკოკი, კოცხანა, მური თეთრი, მახათის მტკვანდილი, მტრედისფეხა, ოფორა, ორის საკეველი, სამარხი, სხილათუბანი, ხემხე, ლეშა თეთრი, ლეშა შავი, წითლიანი, კუბუტის ჩხავრი. დღეს უკვე გადაშენებული, ან ერთდროულად ძირების სახით შემონახული გურული ვახის ჯიშებია: ათინური, ბერძული, გაციწვერა, ზენაური, კიკანა თეთრი, კიკანა წითელი, სატატურა, საფერავა გურიის, თქელაფა, ჭუჭუმა.

ჭუჭუტას დოკალიზაცია განსაკუთრებით გურიის რაიონებში, მუყათიხის იმაზე, რომ ფეხიანი ვახის ჯიშების რიცხვი.

საფერე ოცხანური ერთი მხრივ, ძალიან ახლოს დგას იმერულ ჯიშებთან: **მგურულ** და

ფურათან და სახნერის ძველშავთან, ხოლო, მორე მხრივ გურიის ხუმაა შავთან, რომელიც ახლო წარსულში გვეხედებოდა როგორც გურიაში (ჩოხატაური), ისე იმერეთში (სამტრედია). აღნიშნულის გამო სავარაუდოა, რომ ეს ვიშეში წარმოშობილია ქვემო იმერეთისა და ზემო გურიის რევიონში. ძველშავი სახნერის, ვიშეში, რომელიც ამჟამად გვეხედება მხოლოდ ზემო იმერეთის რაიონებში, ე. დემეტრადის, თ. კვარაცხელიას შემოტანილი იყო საქართველოს რომელიმე სხვა რაიონიდან და აქ ჰპოვა გავრცელება... ამ სახელწოდებით". ასეთ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენი მუშაობის შედეგად დადგენილი ამ ვიშის დიდი საიხლოვე გურიის ვიშებთან — ხუმაა შავთან და ზემოხუთან.

გურიის ვიში ბადავი, ფილოქსერის შემოჭრამდე ფართოდ იყო გავრცელებული გურიაში. გურიის ვიში კოცხანა, იმერეთის ვიშს ხგანძებს ჰგავს ახალგაზრდა ფლორტის ქინისებური შეხუსვით, საშუალოდ დანაკეთული, ძლიერად შეხუსული, დიდი ზომის ფოთლით. საშუალო ზომის, ცილინდრული და ცოლინდრულ-კონუსური ფორმის, საშუალო სიკუმისის ჭეჭვით. საშუალო ზომის, მომრგვალო-ოვალური, შავი ფერის მარცვლით, სიმწიფის სავეიანო ჭრილით, საშუალო ძლიერი ზრდის დონით, ორივე ვიში საღვინეა.

გურიის სხილათუბანი ახლოს დგას იმერულ ვიშთან გაბეხურ შავთან. სხილათუბანი გვეხედება გურიაში, მაგრამ ადრე ცნობილი იყო იმერეთშიც. თავის მხრივ სხილათუბანთან მსგავსებას ამჟღავნებს აჭარული შავი.

გურიის ვიში იფიქურა ემსგავსება გურიის სხილათუბანს და აჭარულ შავს. დიდ ურთიერთ-მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან გურიის წითლანა და იმერეთის ბეწურა, რომლებსაც ერთეული ძირების სახით გვეხედება გურიაში და იმერეთის რაიონებში.

კამური თეთრი და კამური შავი უძველესი, დასავლეთ საქართველოს ვიშებია. კამური თეთრი, აკად. ი. ნოლოფაშვილის, ე. ნაკაშიძის, მ. რამიშვილის აზრით, ადგილობრივი გურიის ვიშია. სხვა მკვლევარები — აკად. ი. ჯავახიშვილი, ი. ბახტაძე თვლიან, რომ კამური თეთრი, ისე როგორც კამური შავი, გურიის ვარდა გავრცელებული იყო სიძველეზე. თავის დროზე

მიუთითებდა აკად. ი. ჯავახიშვილი.

მახათური ერთეული ძირების სახით გვეხედება გურიაში და აჭარაში.

კოლოში გვეხედებოდა გურიაში და სამეგრელოში. აკად. ს. ნოლოფაშვილის აზრით, ვიში წარმოშობით სამეგრელოდან უნდა იყოს. მაგრამ კოლოშის ახლო მანძილები განსაკუთრებით გურიაში ლოკალიზებული როინასთან და ჩხავერთან საფუძველს ვეძიებენ ვიშებისხით, რომ ვიში, პირქით, ვურიადან შეიძლება გავრცელებულიყო სამეგრელოში. გურიის ვიში ჩხავერი ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების გამოჩენამდე, გურიის ვარდა ფართოდ იყო გავრცელებული ქვემო იმერეთის რაიონებში. ჩხავერი შეიძლება მიეკუთვნოს ერთ-ერთ უძველეს ვაშის ვიშებს, რომელიც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოში. ამ ვიშის სიძველეზე მეტყველებს მისი გენეტიკური ანალიზისას გამოვლენილი ფარული რეცესიული ნიშნები — ახალგაზრდა ფლორტისა და ფოთლის აბლაბუდისებური შეხუსვა, ფოთლის ფირფიტის საშუალოს და ძლიერად დანაკეთვა, მარცვლის თეთრი შეფერვა და სხვ.

აღადასტური ფორმირებოდა კულტურული ვიშების კოლხეთის ქვეყრაში, ფილოქსერის გამოჩენამდე ფართოდ იყო გავრცელებული გურიაში და მის მიმდებარე, ქვემო იმერეთის ზონაში. იმერეთის ვიშებთან ასეთი კავშირის არსებობა მტკიცდება ჩვენი მუშაობის დროს გამოვლენილი მისი საგრძობი სახალხოვით იმერეთში ფართოდ გავრცელებულ უძველეს რკო შავთან და რკო თეთრთან, რომლებიც ადრე, ვარდა იმერეთისა, გვეხედებოდა რაჭაში, გურიაში და დასავლეთ ქართლშიც კი. ჯანი და ხუმაა თეთრი ახლოს არიან უძველეს იმერულ გაბეხურა თეთრთან ჯანს აკად. ი. ჯავახიშვილი მიაკუთვნებს გურიის ვიშებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამავე დროს გავრცელებული იყო იმერეთშიც. მტრედისფეხა ძველი ვიშია, რომელიც მოიხსენია ჯერ კიდევ აკად. ი. ჯავახიშვილმა. ერთეული ძირების სახით გვეხედებოდა როგორც გურიაში, ისე აჭარაში. საკმეველა პ. ყანდურალოვის ცნობით გვეხედებოდა დასავლეთ ქართლში ერთეული ძირების სახით. ე. ფოფხაძე აღნიშნავს, რომ ვიში ადრე შეტანილი იყო რაჭაში, აკად. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ვიში ადრე გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ, ისე



აღმოსავლეთ საქართველოში.

ზემით მითითებულ მკვლევართა საწინააღმდეგოდ პროფ. მ. რამიშვილი ამტკიცებს, რომ ვიში ახლაც და აღრეც ვეხედებოდა მხოლოდ გურიაში.

ჩვენი მუშაობის დროს გამოვლენილი ამ ვიშის სახსლოვე აღმოსავლეთ საქართველოს ვიშებთან, გვაიძულებს გაეიზიაროთ პირველად დასახელებული მკვლევართა მოსაზრებები. მტკიცანდიდ ფილოქერიის შემოჭრამდე ფართოდ იყო გაერელებული საქართველოს ყველა რაიონში.

გურიის ღვინოები თავიდანვე განთქმული იყო სინაზით, არამატულობით და ბუნებრივი ცქრალით (ნხავერი, ჯანი, სხილაუბანი).

1879 წელს გურიაში აღრიცხული იყო დაახლოებით 6.000 ღესეტიანა ვენახი, ვაზების უმეტესობა მაღლარად იყო გაშენებული ხეებზე და აღრიცხვის არ ემორჩილებოდა. 1953 წელს ჩატარებული ვენახების პირველ დეტალურ საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით გურიაში ვენახების ფართობი 900.6 ჰა-ს უდრიადა.

ვენახების მთელი ფართობის 93% მხოლოდ ერთ ვიშს, იმერულ ცოლიკორს ეკავა, ხოლო კველახე განთქმულ, ხარისხოვან ვიშს ჩხავერს, მხოლოდ 3,49%.

1990 წ. ვენახების ფართობი 1.300 ჰა-ს შეადგენდა.

დღეს გურიის ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია ცოლიკორთან ერთად ვიშები ჩხავერი და ალადასტური. ვენახების ფართობი 1980 წელს შეადგენდა აჭარასთან ერთად 2.300 ჰა-ს.

გურიაში გამოყოფილია მევენახეობის 2 ძირითადი ზონა:

მდინარე სუფსისა და ნატანების ხეობა. მესხეთისა და გურიის ქედების მთისწინა კალთები, სადაც მზადდება საუკეთესო ღვინოები ჩხავერის და ჯანის ვიშებიდან.

საჯავახოს ზონა - იმერეთის მოსაზღვრე რაიონი, სადაც წარსულში მზადდებოდა სახელგანთქმული წითელი ღვინოები.

ჩხავერის მალაპროდუქციული მოსავალი მთავრად საჭამიასერის, ლიხაურის, მაკვანეთის, ბახვის, ასკანას, დაბლაციანის, ფარცხის, კონხანის, ვაკავერისა და სხვ. მაკროზონებში. განსაკუთრებით ძვირფასი ღვინო ამ ვიშები-საგან მზადდება ასკანაში ოცხანაში, შემოქმე-

დში, ლიხაურში. ჩხავერის მზადება მისაღებად საუკეთესო ზონაა - ბახვი, ასკანა, საჭამიასერი, ლიხაური, მაკვანეთი, დაბლაციან-ფარცხის, კონხანი ვაკავეარი. ძვირფასი ხარისხის ღვინო ჯანის ვიშის ყურძნისაგან მზადდებოდა ბუკისციხეში, იანოულსა და ერკოში.

ცოლიკორის სუფრის თეთრი ღვინოების მისაღებად ხელსაყრელია ბახვი - ასკანა - საჭამიასერის ზოლი.

სუფრისა და ცქრაილა, ბუნებრივად ნახევრდტებილი ღვინოების მისაღებად პერსპექტიული საფერავი, ალიოტტე, ვურული ვიშები: სხილა-თუბანი, ჯანი, კოლოში, ჭუმუტა, საწურე.

სუფრის და სადესერტო ღვინოებისათვის პერსპექტიულია: ჯავახოური, ზოფათური, მური თეთრი.

საკონიავე მასლის მისაღებად: ჯანი, საწერი, მტრედისფეხა და სხვ.

სამეგრელო. ეს მზარე ისაზღვრება ჩრდილოეთით - მთავარი კავკასიონის მთის ქედი, აღმოსავლეთით მდინარე ცხენის წყლი (იმერეთით), სამხრეთით გურიით, დასავლეთით შავი ზღვით. ჩრდილო-დასავლეთით სამეგრელო ესაზღვრება აფხაზეთს.

გერტიკალური ზონალობით გამოიყოფა სამთავარი ზონა: ა) ზღვის სანაპირო და დაბლობ; ბ) მთისპირა ზონა - ჩრდილო-აღმოსავლეთ საკენ ვადადის მთისპირა ვორაკოვან სისტემის სინაღლე ზღვის დონიდან 500 მ-დე, შეიკავს ნაკლებ წყალგამტარ მერგელიან თიხნარ ქანებს დაქანება ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ მართულებებისა; გ) მაღალმთიანი ზონა.

დაბლობ ზონაში, საკმაოდ დიდი მასივები გვხვდება წითელმწიწა ნიადაგებისა. მთისპირა და მთის გარემომცველი მიწების ზოლში ფართოდ არის გაერელებული ვაზისათვის ხელსაყრელ ნემომბალა-კარბონატული ნიადაგები (მერგელზე განვითარებით). უფრო ინტენსიურად არის შეყვრილი და მდიდარია ჰუმუსით 12-15^ე დაქანების ფერდობებზე კირქვებზე განვითარებული ნემომბალა-კარბონატული ნიადაგები (კაიმი, ხეთა, ლეკერსამე, კურხუ, უძელურა დედაღვისია, მათხოვი).


სამეგრელოს ტერიტორიაზე გაერელებული ნიადაგების სახესხვაობებიდან მევენახეობის ფართოდ წარმოების თვალსაზრისით გამოსადგია მხოლოდ მთისპირა ზონის ნიადაგები.

ალადასტური

საქართველო
სოფლისმეურნეობის
სამსახური



ცოლიკოური



ღანართი 1
Annex 1

ფროკლიმატური დარაიონების მსხვედრით სამეგრელოს ტერიტორია მდებარეობს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში.

ამვე დროს სამეგრელოს შუა-მთისპირა ზონა, დაბლობთან შედარებით ხასიათდება ნაკლები ნალექიანობით და ჰაერის შედარებითი ტენიანობის ხიშტობით, აქტიურ ტემპერატურათა ზომიერი ჯამით.

მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით ხაინტყრესია მთისპირა ზონა.

- წალენჯიხის ზონა - აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4.000⁰, წლიური ნალექები 1900 მმ. - ჩხორწყურის ზონა 3.400⁰, 1300 მმ, ზომიერი ტენიანობა - სენაკის ზონა - მევენახეობის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მთისწინა ზონა 3.200⁰, 1.300 მმ. აგვისტო და სექტემბერი ხასიათდება ზომიერი ტენიანობით - რაც ხელს უწყობს ყურძნის დამწიფებას.

- მარტვილის შუა ზონა (მთისპირა ზონა)

- სადაც ვენახების დიდი მასივები იყო განლაგებული. ტემპერატურული რეჟიმი სრულიად საქმარისია, როგორც ყურძნის ნორმალურად დასამწიფებლად, ისე ვეგეტატიური ნაწილების დროულად შემოსასვლელად. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3.250⁰, ნალექების წლიური რაოდენობა 1.580, აგვისტო ხასიათდება გველენობით.

სამეგრელოს ვაზის ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფის ჯიშებისათვის დამახასიათებელია: ახალგაზრდა ყლორები - ძლიერად, ქვიხებურად შებუსული. ფოთლი - დიდი ზომის, პირველი, ძირითადად სუსტად დანაკეთული. ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა ძლიერი. ქვიხები მტკვანი საშუალო ზომის.

ცილინდრული, საშუალო საკუმისი, უმხრო; მრგვალი - საშუალო ზომის, მომრგვალო ან მომრგვალო-ოვალური, უფრო იშვიათად ოვალური; შეფერვა თანაბრად ან თეთრი ან შავი, ძირითადად საშუალო ხაველიანი პერიოდის და აღინიშნება მიმართულებისა, ვაზის სრდის ღირე - უფრო იშვიათად ძლიერი.

დღეისათვის ცნობილი მეგრული ჯიშებია: ფიშღური, დუდღუმი, ზურდაგი, მახვატელი, მჭვეტური, ოჯალუმი, პანეში, პუმბულა, ჭვიტლური, ჩერგვალი, ჩეჭიფეში, ჭეში, ჭლილი, ალიხინია, ჩხუჩეში, შონური.

ისტორიულად ცნობილია შემდეგი მეგრული

ჯიშები: ზურნაში, გრეში, დღვლაბე, დღვლესი ქიტი, ვეურბულე, ქეცასური, კოილური, კუტალა, მუხამსა, ოქანა, ოფოფი, თეირიშა, ჩეკოლომი, ჩეჩკიში, ჭიტამა, ჩხაბერბული, ჩხორკოში.

პუმბულა სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი ვაზის ჯიშია. აბორიგენულობას და ადგილობრივ კერასთან მიკუთვნებას ადასტურებს მისი ახლო მსგავსება აჭარის ჯიშებთან და აფხაზეთის აშუღათთან. მახვატელი ადგილობრივი სამეგრელოს ჯიშს აქვს ახლო მსგავსება აჭარის ალმურა შავთან. ოჯალუმი სამეგრელოს უძველესი ჯიშია, რომელიც ფილოქსერის გავრცელებამდე ხშირად გვხვდებოდა შუა და ზემო სამეგრელოში.

სამეგრელოს ჯიშები აფშილური, მჭვეტური და დუდღუმი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მორეხარისსივანი ნიშნებით, შეადგენს ჯიშ-ჯგუფს. გავრცელებულია ზემო და ნაწილობრივ შუა სამეგრელოში. მეგრული ჯიში ჩერგვალი ამჟღავნებს აგრეთვე მსგავსებას აღნიშნულ ჯიშებთან. იგივე ჯიშებთან ახლოს არის გურისის მური თეთრი.

ჭვიტლური საკმაოდ ფართოდ ცნობილი, სამეგრელოს ჯიშია, რომელიც გავრცელებული იყო სამეგრელოს თითქმის ყველა სოფელში. ჩემი სამეგრელოს ჯიშია. ჭანკილოურის წარმოშობის პირველად რეგისტრირებულ კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. ჩხუჩეში სამეგრელოს ჯიშია და გვხვდება ერთდროულად ძირების სახით ზემო სამეგრელოში. ნიშან-თვისებებით ახლოს არის ადგილობრივი ჯიშების ჯგუფთან. ჩეჭიფეში და ზურდაგი აგრეთვე ითვლება, დასავლეთ საქართველოს ჯიშების ტიპურ წარმომადგენლებად.

სოკოვან დაკავებუბათა და ფილოქსერის გავრცელებამდე სამეგრელოში ვაზის ჯიშების სორტიმენტე მეტად მდიდარი იყო. მოდწეული ცნობების მიხედვით ზემოთჩამოთვლილი ჯიშების გარდა რამდენიმე ათეული ვაზის ჯიში ყოფილა გავრცელებული. მათი ნაწილი ალავალად შემორჩენილია რამდენიმე ძირის სახით.

XIX საუკუნის ბოლო წლებში სამეგრელოში, ე. საკაშვიის გადმოცემით 12.500 დესეტინა ვენახი მოიპოვებოდა. მათ შორის დაბლარად გაშენებული იყო 340 დესეტინა ვენახი. ფილოქსერისა და სოკოვანი დაკავებუბების შემდეგ ვენახე



ბის რაოდენობა კატასტროფულად კლებულობს და 1908 წლის მონაცემებით შპორჩინელი იყო მხოლოდ 500 დეკტინა ვენახი. მევენახეობის მყობის კულტურაზე გადასვლის შემდეგ ვენახების ფართობი მატებას იწყებს. ვენახების 1953 წლის აღწერის მასალების მიხედვით სამეგრელოში 2.000 ჰა ვენახი იყო. ვენახების მთელი ფართობის 93% ეკავა იმერულ ვიშს ცოლიკურს, მას მოსდევდა ოჯალეში. დანარჩენი ადგილობრივი ვიშები აღრიცხვის სიმელების გამო, ცალ-ცალკე ვერ აღირიცხა და მიყვანილთა „სხვადასხვა ვიშებთან“ ერთად, რომელიც 1,7% შეადგენდა.

1990 წ. ჩვენი ვენახების ფართობი 2.200 ჰა შეადგენდა.

დღევანდელი სამეგრელოს ვაზის სტანდარტული სორტიმენტები წარმოდგენილია ორი საღვინე ვიშით: ცოლიკოურით და ოჯალეშით.

მეღვინეობა-მევენახეობის თვალსაზრისით სამეგრელო იყოფა ორ ძირითად, მკვეთრად განსხვავებულ ზონად – მთიან და დაბლობ ზონად.

დაბლობ ზონაში მევენახეობა მცირედ არის წარმოდგენილი და ღვინოც აქ მალედი ხარისხის არ ღვება (საშუალო ალკოჰოლიანი, მცირე სხეულთა, სუსტი არომატი).

მაღალხარისხოვანი ღვინოები აქ მიიღება მთისწინა გორაკოვან ზონაში.

კლიმატური პირობების, ნიადაგის შედგენილობის, ნაკვეთების მდებარეობისა და ვიშობრივი შემადგენლობის შესაბამისად სამეგრელოს გორაკოვანი ზონა იყოფა შემდეგ მიკრორაიონებად:

მდინარე აპაშის და ტეხურის შუა დინების მთავარიანი ზონა, რომელიც მოიცავს მარტივლის რაიონს მთლიანად და წალენჯიხის რაიონის ზემო ნაწილს.

ამ ზონის კირნარ ნიადაგზე (სოფ. ვაზიდან სენაკამდე) ღვება ოჯალეშის სახელგანთქმული ღვინო სოფელ სალხინოში.

მდინარე ხობისა და ჭანის წყლის შუა დინების გასწვრივ მდებარე ზოლი (წალენჯიხისა და ჩხორიწყის რაიონებში). ეს მხარე ძველთაგანვე განთქმული იყო ვიშ ჭვიტილურიდან მიღებული ხარისხოვანი თეთრი ღვინით, ხოლო მდინარე ენგურის ვაღმა მდებარე სოფელ ფაშულანის მიდამოები ცნობილი იყო საკმაოდ ალკოჰოლი-

ნი, ვარდისფერი, საკმაოდ სისხნოვანი მსხვილღვინით, რომელიც მზადდებოდა ვიშ კოლომდანი.

მდინარე ენგურის მარცხენა მხარე (ზუგდიდის რაიონი) ცნობილია ვიშ ჭვიტილურიდან და მზადდებული სასიამოვნო თეთრი ღვინოებით.

სამეგრელოს ვაკე ადგილებში, განსაკუთრებით საჭყონდილოსა და საჭვილაოში ვიშ პუპულასაგან გორაკოვანი ზოდის ძირითადი მმართველობა ხარისხოვანი წითელი და თეთრი სუფრის ღვინოების, ალუ-ალუ ბუნებრივად ნახევრად ტიბილი ღვინის წარმოება.

სტანდარტულ სორტიმენტში შეტანილ ვიშებთან ერთად პერსპექტიული ვაზის ვიშები: ხარისხოვანი სუფრის ღვინოების მისაღებად – ალიკოტე, ჩეჭიფუში, ჭვიტილური, პანუშ, ჩერგვალი, კოლოში, კიკაზა.

ბუნებრივად ნახევრადტყბილი ღვინოების მისაღებად ტოროკუში და კოლოში საკონაე ღვინომასაღის წარმოებისათვის ცოლიკოური, პანეში სასუფრე მმართველობის ყურძნის ვიშებისათვის: ბუდეშური წითელი, მუსკატი კამპურის, ხარისხივალა კოლხური, პანეში და სხე.

I სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების საწარმოებლად გამოყოფილი მიკროზონებია: ვიშ ცოლიკოურისათვის – სალხინო-ბანსა-კოტიანეთი, ვიშ ოჯალეშისათვის: I. სალხინო – შანშა – მუხურჩა – მარტვილი. 2. სენაე – კოტიანეთი სოფლების ჩანხური, თამაკონი ვაზი, თარგამული ნეშომპალა-კარბანატული ნიადაგის ზონები. III. მოტკბო ღვინოების საწარმოებლად ვიშ ოჯალეშისათვის I. სალხინო – ბანსა – მუხურჩა – მარტვილი სოფლები: ვეგარი, საჩინო, წაღუნჯიხა, ჭკადუაში, ნაკეფი და იდი ჭყინი, ნიკაბაქევი, უშაფატი, ფოცხა.

აშხაზეთი. აშხაზეთის ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც ციცაბოდ ეშვება მდინარეების საკენის ჩხალისისა და ბზიფის ხეობებისაკენ.

აშხაზეთის მთიანი შუა ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით ქედებს: ვაგრის, შოფის, ჩხალისის და კოდორის ქედებს, რომლებსაც თავის შრები მრავალი განშტოება აქვთ და გადაადან გორაკ-ბორცვიან ზონაში, რომელიც შექმდომში გადადის შავი ზღვის სანაპირო დაბლობებში.

პაკა ზღვის დონიდან 300-400 მ-დე ნოტო



სებტროპიკულია თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. 400 მ-დან – 1100 მ-დე. ნოტიო დიდი ზამთრითა და ხანგრძლივი, გრილი ზაფხუ- ლით წლიური საშუალო ტემპერატურა აფხაზე- თის ამ მონაკვეთში 13-15°C მერყეობს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მერყეობს 3000-4000 და ზტ გრადუსამდე, რაც ჭარბად აკმაყოფილებს ვახის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ნალექე- ბის წლიური რაოდენობა 1300-1550 მმ-ა.

აფხაზეთის ზღვისპირა ვაკე დაბლობებზე ალუვიური და ჭაობიანი ნიადაგები ჭარბობს. დამრეც ვაკე-დაბლობებზე ეწერი და ალუვიურ- კარბონატული ნიადაგებია ვორაკ-ბორცვიან ნიხწინეთში ყვითელმიწები, წითელმიწები და კრქებისა და მერგელების გამოყვავის პრო- დუქტებზე – ნემომპალა – კარბონატული ნია- დაგები, რომლებიც ზელსაყრელია ვახის კულ- ტურისათვის. დიდი ნაწილი ტყის ნიადაგებს უჭირავს, რომლებიც კრქეებით ავებულ ზონა- მა წარმოდგენილია ნემომპალა – კარბონატუ- ლი, ხოლო არაკირქველ ზონაში – საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგებით.

აფხაზეთი ვახის ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ახალგაზრდა ყლორტი – შებუსის ტიპი ჯიშე- ბის უმრავლესობისათვის (79%) ქჩისებურია, უმცირესობისათვის (21%) აბლაბუდისებრი. ფო- ლიანი – დიდი ზომის, მომრგვალო, ჯიშების მხეგარზე მეტის ფოთოლი ძლიერად შებუსე- ლი, სუსტად დანაკეული. მტკვანი – საშუალო სიმის, ძირითადად კონუსური, გვხვდება ცი- ლანდრულ-კონუსური და უფრო იშვიათად ცი- ლანდრული მტკვნებიც. მარცვალი – საშუალო სიმის, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური, მშაითად ოვალური, უმეტესად შავი ან კარ- ლიფერი, ყურძნის სიმწიფის პერიოდს – სა- ვვანო ან ძლიერ საკვიანო, უმეტესად საღვინე მმართულების, ვახის ზრდის დონე – დადი და ძლიერი, უფრო იშვიათად საშუალო.

დღეისათვის ცნობილია შემდეგი, არსებული აფხაზეთი ვახის ჯიშები: აბაკევი, აბისტაყი, ფსარხვა, აბბიყი, აბნიყი, აჟაფში, აჟემშილი, ფოში, აჟხვატა, აკაბილი, აკაბდლი, აჟემშტა- ლი, აშლასუ, აშოხევი, აპანნივი, ათურქუვი, ბარდანი, აწევი, აწისიყი, აწლივი, აჩიკიყი, დაჟი, ბლაბურხვა, კაჭიჭი, ლაკიოყი, საფში- ჩა, ხუპშიყი, წვინდირხვა.

ამ ჯიშებს კიდევ ემატებოდა აწ გმამა- ნებული ჯიშები: აბსუაყი, აფხაზეთი, თეთრი, აფხაზეთი შავი, აბიყი, აჟბრევი, აჟეკაყი, აჟი, აკასაყი, აკუბასა, ახიუნაყი, აწხოუვი, აჭანდ- რის საღვინე, პეტრივი, ტატლივი, ხუნალივი და სხვ.

ჯიშები აჟაფში, აჟაფში, აშლასუ, აწევი, აწლივი, აწისიყი წარმოქმნიან ჯიშ-ტაპს. ისინი თეთრი ბოტანიკური ნიშნებითა და ბიოლოგიუ- რი თვისებებით ძალიან ახლოს არიან ერთმა- ნეთთან. აშლასუს კულტურაში გამოჩენა ვრცე- თვება შორეულ წარსულს. ამ ჯიშის ძველი წარმოშობის შესახებ ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული ამ ჯიშის გენეტიკური ანალიზის მასალა, რომლის დროსაც დადგინდა ფარული, რეცესიული ნიშნების არსებობა.

აპანნივის წარმოშობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. პროფ. დ. ტაბიძე მოუთი- თებს, რომ ეს ჯიშე გვხვდება როგორც აფხა- ზეთში, ისე სამეგრელოში.

აკად. ს. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ „საფუძვლიანად არ არის ცნობილი ეს ჯიშე აფხაზეთში, თუ იგი შემოტანილია აქ სამეგრე- ლოდან“. ერთი უცვლელია – აპანნივი ადგი- ლობრივი კულტურული ვახის ფორმათა წარ- მოქმნის კერის ჯიშია. მისი ახლო მსგავსება არა აფხაზეთის ჯიშებთან, არამედ სამეგრელოს შონურთან, აჭარულ აღმურა შავთან და წინათ მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელე- ბულ ხაინსივალა კოლხურთან, გვაძულებს დავეთანსებოთ ზემოთ მოყვანილ ავტორებს და ვავიზიაროთ მათი აზრი აპანნივის აფხაზეთ- ში შემოტანის შესახებ მეზობელი რაიონებიდან. აფხაზეთი ჯიშე ახარდანი დ. ტაბიძის აზრით, წარმოშობით დასავლეთ საქართველოში. გარდა აფხაზეთისა, სამჭაჭას სახელწოდებით გვხვდება იმერეთში, აგრეთვე სამეგრელოში. აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ჯიშე გვხვდებოდა გურიამშიც.

აფხაზეთი ჯიშე კავიჭი ძველად გავრცე- ლებული იყო როგორც აფხაზეთში, ისე სამე- გრელოში. ამ ჯიშების ურთიერთსიახლოველ და მათი იმერეთის ჯიშების დომინანტურ გვეუ- ში. მოხვედრის ფაქტი მოწმობს მათ საერთო წარმოშობაზე საქართველოს კერის, დასავლეთ საქართველოს ქვეყანაში.

კულტურული ვახი აფხაზეთში უძველესი



დროიდანაა ცნობილი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით (კოსლინგი, ვ. მელიქიშვილი) ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველების წინაპრებს ეკავათ — ქართველთა და აფხაზთა წინაპრების მშობლიო კავშირი, დროთა განმავლობაში სულ უფრო მტკიცდებოდა.

თავისი საწყნებით შეიძლება თავისთავადი აფხაზთა კულტურა უძველესი დროიდან ამჟღავნებს მჭიდრო კავშირს ქართველი ტომების კულტურასთან. ამას ხელს უწყობდა მათი უხსოვარი დროიდან ერთმანეთის მომთაყვნედ განვითარება და შემდეგ ჩვ. წელთაღრიცხვამდე ათასწლეულში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და იქ არსებული მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი კულტურა.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნებისა და თვისებების მიხედვით, ადგილობრივი ვაზის ჯიშების დიდი უმრავლესობა დას. საქართველოს ჯიშებს ჰგავს.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აფხაზური ვაზის ჯიშები უმრავლესი ნიშან-თვისებებით განსხვავდება დღევანდლამდე შემორჩენილი ჩრქესული ვაზის ჯიშებისაგან (სანახურაი, სანაჟანან, სანეფ, სვირბიუ), რომლებიც აფხაზური ჯიშების ძლიერი ქერისებურად შებუსისილი ფოთლებისაგან განსხვავდებიან სუსტად ან სრულიად შეუბუსავე ფოთლით, უფრო ადრეული სიმწიფის პერიოდით, სოკოვანი დაავადებების მიმართ უფრო ნაკები გამძლეობით და სხვ.

ამასთანავე ერთად, აღნიშნული ჯიშების ნიშანთა გარკვეული, მცირე ნაწილი შეინიშნება აფხაზურ ჯიშებში, რაც მოუხედავად ამ უკანასკნელთა ენდემურობისა შეიძლება მათთან მორეული ნათესაობის დამადასტურებელიც იყოს.

რამდენიმე აფხაზური ვაზის ჯიშში (აკომშტალი, ავასირხვა, წვინდირხვა, ამნიჟი და სხვ.) ხასიათდება ამ ჯგუფისათვის, არადაბასისათებელი ზოგიერთი ნიშნით. მაგ. მათი ახალგაზრდა ყლორტი, შებუსულია არა ქერისებურად, არამედ აბლაბუდისებურად, ფოთლის ქვედა ზედაპირი შეშეულია და ა.შ.

ჯიშებს ავასირხვას, ამლახუს, აჟემილს, აჟაფს და არკეიუს ახასიათებთ როგორც ოდნავ ოვალური, ისე მორძო-ოვალური ფორმის

მარცვლები.

ჯიშების მცირე ნაწილში აღნიშნულია მიწზე შეიძლება იყოს ა) მათი წამრობობა აფხაზეთში უფრო იშვიათად გავრცელებული ველური ვაზის მცირედ შებუსული ფორიანი ქვესახე ბიდან. ბ) ჯიშთა კულტივირებისას რეკვირუ ნიშნების გამოვლენა და მათი შემდგომი მემოთლებრივი გამორჩევა. გ) აღმოსავლეთ შავიზვისპირეთის, ანტიკურ სამყაროსთან ისტორიულ ურთიერთობის პერიოდში — ჯიშთა ინტრადუქცია და რასათაშორისი ჰიბრიდიზაცია.

ფეოდალიზმის ეპოქაში, კიდევ უფრო ძლიერდება და მტკიცდება ერთიან ქართულ სახელმწიფოში შემავალ აფხაზთა და ქართველთა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა. მეფე-ხეობაში — ვაზის მოვლის წესების გაუმჯობესებასთან ერთად, ადგილი აქვს ჯიშების შემოტანას საქართველოს სხვა კუთხეებიდან და პირებით აქედან ჯიშების გატანას.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, აფხაზურ ვაზის ჯიშები, ახლო მონათესავე დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან ერთად ენდემური, ვაზის კულტურული ფორმათა წარმოქმნის დასავლეთ საქართველოს ქვეყნაში წარმოშობილი ჯიშებია.

მ. ბალახის ცნობით აფხაზეთის ვენახებს საერთო ფართობი XIX ს. მეორე ნახევარში 2538 ჰა აღწევდა.

დღევანდელი აფხაზეთის ვაზის სტანდარტული სორტიმენტი შედგება ჯიშებისაგან: ოვალში, ცოლიკოური, ჩხვერი, კაჭიჭი, ავისირხვა ცხენისძუქუ აფხაზური. უკანასკნელი სამი ჯიშში 1960-ან წლებში შეტანილია სტანდარტული სორტიმენტში საქართველოს მებაღეობის, მკვ. ნახეობისა და მღვინეობის ინსტიტუტის ვაზის სელექცია — ჯიშთამცოდნეობის განყოფილების რეკომენდაციით.

პირველი ოფიციალური ცნობები აფხაზეთში არსებული ვენახების ფართობის შესახებ გვ მოქვეყნდა 1953 წელს ჩატარებულ ვენახების საკავშირო აღწერის დროს, და იგი 1.300 ჰა-ს უდრიდა. ფართობი შემდეგში მატულობდა და შეადგენდა 1956 წელს 1.500 ჰა-ს, 1964 წელს 4.900 ჰა-ს 1980-იანი წლების შემდეგ მონაცემები აღარ მოგვეპოვება.

აფხაზეთში გამოყოფილია შექვანხეობა-მეცნიერების 3 ზონა:



ა) მღ. ბზიფის მთისწინა ზოლი და ფერდობები. ძველთაგანვე განთქმული იყო ამლახუს ქრიალა მოტეპი ღვინო.

ბ) ბზიფის ქელის მთისწინა ფერდობები. მდინარე გუმისთის, კელასურის და კოდორის შუა დინების ვასწვრივ ძველთაგანვე ცნობილი იყო ხარისხოვანი მეღვინეობით.

გ) ვაგრის, თნამშირისა და გაღის რაიონების ვაკე და მთაგორიანი ზოლი, რომელიც ძველად ნაკლებად ყოფილა ცნობილი როგორც წვეინახების მხარე.

აქსახეთის მთისწინა ვაკეზე და ფერდობ აგილტზე გამწვანებულ ვენახებიდან მიიღება ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის და ბუკურთვად ნახევრად ტბილი ღვინოები. დანარჩენ აგილტებში გათვალისწინებულია ორდინარული ღვინოების და ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ყურების წარმოება.

ჟ) ხარისხოვანი სუფრის ღვინის მისაღებად გამოიყენება ჯიშები ცოლიკოურა, ჩხავერი, ჟგალეში, ავასირხვა, კაჭიჭი.

პერსპექტიულებია კრახუნა, ამლახუ, ციციკი, ამლახუ, აშხვატა, აშულაფი, ჭვიტილური და სხვ.

ცოლიკოურისათვის სუფრის ხარისხოვან ღვინის მისაღებად გამოყოფილია მკარაზონი 1. ახალსოფელი - ბომბორა 2. ვანთაიხ 3. ლისნი-აჭანდარა. ჯიშ ავასირხვასათვის ღვინი - აჭანდარა, კაჭიჭისათვის ახალსოფელი - ბომბორა-ღვინი.

მოტეპი ღვინოებისათვის მიკროზონები: ჯიშ კიჭვისათვის ახალსოფელი - ბომბორა ჯიშ საკერისათვის 1. ახალსოფელი - ბომბორა 2. ღვინი - აჭანდარა.

ჯიშები ავასირხვა და კაჭიჭი მიზანშეწონილია გამოიყენოს ზოგის წინა კალთების სარჩელში.

სასუფრე ყურძნის მისაღებად ინტერესს იმსახურებენ: შასლა, ჰამბურგის ტუსკატი, ბუდეური წითელი, განჯური, კარაბურსუ, ქართული ხაღვლი, ცხენისძუბუ აფხაზური, აპანიკი, ხახისთვლა კოლხური, ვერმენტინი.

ამრავად, ვაკეებზე რა ვიწველივე ზემოქმედებს ხიბლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: დასავლეთ საქართველოს რეგიონი, რომლის ერთ-ერთი შედეგეული ნაწილია, შეგნახების შავი ზღვის ნაპირი ზონა მიეკუთვნება უძველეს კოლხეთის

კარიანტს. ისინი წარმოშვა გარეული ვაზის გამორჩევისა და შექცობა გაურჯობების გზით. ეს ქვეყრა სასაიდება, პირველად, დომინანტური გენების კონცენტრაციით.

აღნიშნული კარიანტის ჯიშების უმცირესი ნაწილი, რომლებსაც ახასიათებთ აბლაბუდისებურად შეტუსული ფოთოლი, შესაძლებელია წამოშობილიყო ადგილობრივ კერაში, ნიშანთა დათმვისა და მცენარეთა გამორჩევის გზით. ფორმათაწარმოქმნის გარკვეულ ეტაპზე ამ პროცესს დაემატა ჯიშბმორისი პიბრიდიზაცია და უფრო გვიან პერიოდში, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯიშების ინტროდუქცია მეზობელი რეგიონიდან. ქვეყრის ჯიშები დაჯგუფდნენ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში, რომლებიც ერთმანეთისაგან უშინშეწოდოდ განსხვავდებიან და სასაიდებიან ერთმანეთთან დიდი მხვავებით.

ეს ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშები საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მრავალსაკენიანი ფორმათაწარმოქმნის პროცესის პროდუქტია.

კულტურული ვაზი საქართველოს შავიზღვისპირეთში უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამის დამადასტურებელია მდინარი არქეოლოგიური მასალა და ნაპოვნი ყურძნის წიწვი.

ვაზის არსებობას და განვითარებას საქართველოს შავიზღვისპირეთში ხელს უწყობდა ზედმიწევნით ზელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ველური ვაზიდან შედარებით კულტურულ ვაზთან შეჯგარების გზით მიღებული ფორმები და პოპულაციები ველურიდან კულტურული ვაზისაკენ გარდამავალი ვეგლა ფორმით. ეს კავშირი კულტურულ და ველურ ვაზს შორის დღესაც კარვად იგრძობა. ველური ვაზის ძირითადი ნიშან-თვისებები ადგილობრივი კულტურული ვაზის ჯიშების უმრავლესი ნიშან-თვისებების შესაბამისია, რაც დამაჯერებლად მიტყვევებს ადგილობრივი კულტურული ვაზის ჯიშების აბორიგენულობაზე.

ფორმათაწარმოქმნის გარკვეულ ეტაპზე ამ პროცესს დაემატა ვაზის რასათმორისი და ჯიშბმორისი პიბრიდიზაცია და ზოგიერთ შემთხვევაში ინტროდუქცია. ამ გზით მიღებულმა ვაზის ჯიშებმა, ხალხური სელექციის გზით, მოაღწიეს ჩვენამდე.

ამიტომ იყო, რომ ადრეულ და ანტიკურ



პერიოდში, კოლხეთში მოხვედრილი ბერძენი შოგზაურები და სწავლეულები, განცვიფრებული რჩებოდნენ ამ კუთხეში უხვად მოყვნილ, ხეებზე ასულ ვაზის მცენარეუბათ, მათგან დაყენებული სურნელოვანი, სასიამოვნო ღვინოებით, ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობით, აქ გაგრძელებული მეცნაზობა-მეღვინეობის მდიდარი ტრადიციებით.

ამას კარგად ადასტურებს დღემდე შემორჩენილი წყრილობითი წყაროები (ქსენოფონტე 430-354 წ.წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე, სტრაბონი 63 ძვ. წ. - 24. ახზონის წინამძღოდლობით კოლხეთში მოხვედრილი არგონავტების შთაბეჭდილებები და სხვ.)

საუკუნეების მანძილზე მიმდინარე დივერგენციის პროცესის შედეგად, დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ქვეყნის ვიშები დაჯგუფდა საერთოდ მსგავს, მაგრამ ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში.

სანგრძლივ გეოგრაფიულ იზოლაციას ხელს უწყობდა ადგილობდარეობის რთული რელიეფი და ფეოდალური კარჩაკეტილობა. ასეთ პირობებში თითოეულ იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რაიონებში ფორმირდებოდა განცალკევებული, საწყისი მასალით განსხვავებული ვაზის ვიშების სორტიმენტები.

ნიშან-თვისებათა მათემატიკური დამუშავებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ვიშების ჯგუფების შორის მანძილების გამოთვლის შემდეგ დაავადებენ მათ შორის სიახლოვის კრიტერიუმები, რომლებიც წარმოდგენილია სქემა №1-ში.

სქემა №1

პირობითი ნიშნები:

- 0-15 მცირე მანძილები
- ... 15,1 - 17,5 საშ. მანძილები
- X-X- 17,6 - 20,0 დიდი მანძილები

1. აფხაზური ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი

- 2. მეგრული „-----“
- 3. აჭარული „-----“
- 4. იმერული „-----“
- 5. გურული „-----“

დასავლეთ საქართველოს ვიშების განზოგადებაში, სადაც მასში შემავალ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის მანძილების მარეზებლება, საერთოდ საშუალოა,

გამოსივლია ერთმანეთთან უფრო ახლომდგომი ჯგუფები. მაგ. აჭარისა და გურიის ვიშების ჯგუფები (მანძილი 13,5). თავის მხრივ, სამეგრელოს ვიშების ჯგუფი ყველაზე დიდი მანძილით არის დაშორებული აჭარის ვიშების ჯგუფიდან (მანძილი 18).

აფხაზეთის ვაზის ვიშების ისტორიულ-გეოგრაფიული ჯგუფი საკმაოდ ახლოს დგას დასავლეთ საქართველოს ვიშების განზოგადობასთან. ამ ჯგუფის მინიმალური მანძილებია გურიის ვიშებთან 17,8, აჭარის ვიშებთან 19.

წარმოდგენილი მასალის ანალიზი გვარწმუნებს, რომ კლასიფიკაციური ჯგუფები, რომლებშიც მოხვედრილი ვიშები შედის განსხვავებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში, მიეკუთვნებათ ქართული ვაზის ვიშების ამჟღავნებული ტიპის ერთიან, დასავლეთ საქართველოს ვარიანტს.

ამის ნათელი დადასტურებაა ზოგიერთი ვაზის ვიშის წარმოშობის და გაერცელების ფართე არეალი დასავლეთ საქართველოს ვარიანტის ფარგლებში. მაგ. წინათ მიულ დასავლეთ საქართველოში ფართოდ გაერცელებული ხარის სივლა კოლხური, საკმაოდ ფართე არეალის მქონე კამური თეთრი და შავი, ალადასტური, ჩხავერა, კოლხეთის ქვეყანაში წარმოებული სელექციური პროცესის პროდუქტი ვიში აშუღაფოცხანური საფეხე - იმერული და მრავალი სხვა მაგალითი - იხ. ზემოთ წარმოდგენილი მასალები ცალკეული ვიშების წარმოშობის და გაერცელების არეალის შესახებ.

ამრიგად შავიზღვისპირეთის ზონაში ადრეუპერიოდში ვაზის ასორტიმენტი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ვაზები ძირითადად მალარად, ზეზე აშუკებული იყო.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა XIX საუკუნეში საქართველოში ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების შემოჭრის შემდეგ, რომელიც სწორედ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან დაიწყო.

მოსახლეობა ფაქტიურად მოუშზადებლად შეხვდა ამ უბედურებას. დაიწყო ეენახების მსიური მოსიზობა და განადგურება, მდგომარეობა კატასტროფული იყო. ვაზის კულტურას სრული განადგურება დაემუქრა.

ამას კიდევ ერთი უბედურება დაერთო. რუსეთიდან გაერცელება დაიწყო ამერიკულ-ვრო



პულმა ბუნებრივმა პიბრიდმა იზაბელამ (რომელსაც ხალხმა ადგის შერქვა, მისი ოღვინდანი საქართველოში შემოტანის გამო), რომელსაც იან მოჰუვა ამერიკულ-ევროპული ხელოვნური პიბრიდები (ე.წ. პირდაპირი შწარმოებულები), რომელია საერთო ნაკლი იმაში მდგომარეობა, რომ თუცა ისინი მეტად უძლეუდნენ შემოჭრილ ნაუნებელ-დაავადებებს, მაგრამ ამასთანავე იძლეოდნენ ყოვლად უხარისხო, დაბალი ღირებების მქონე პროდუქციას.

მ. მირიანაშვილ, ნ. ტიშოვი



ღია ქართველი აგრონომის — ივანე ანდრონიკაშვილის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე. სამწესწაროდ, დღემდე სთანადოდ არ არის შესწავლილი მისი მრავალმხრივი საქმიანობა. ჩვენ დავაპყვეთ საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული მისი პირადი არქივი. შევცადეთ სრულად აღვკვედინა, საზოგადოებისათვის გაგვეცნო ამ ღირსეული მამულიშვილის, პრაქტიკოსი აგრონომის, მეცნიერის, პუბლიცისტისა და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრების რთული ვზა.

ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1862 წელს 10(23) სექტემბერს სიღნაღის მაზრის სოფ. მელაანში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი) თავად ზაქარია ანდრონიკაშვილის ოჯახში. დაწყებითი განათლება სოფელში, ოჯახურ ვარემოში და საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლების მეშვეობით მიიღო.

ივანე 9 წლისა იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. პატარა ივანე თბილისის რეალურ სასწავლებელში მიაბარეს. სწავლების შედეგად მიიღო კურსი მან 1881 წ. წარჩინებით დაამთავრა.

1882 წ. ივანე ანდრონიკაშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმიჟსკის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო აკადემიაში (შემდგომში ტიბირიაშვიის სახელობის აკადემია).

1886 წ. მან წარჩინებით, პირველი განრიგის დიპლომით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სრული კურსი. აკადემიის საბჭოს დადგენილებით, მას „სწავლული აგრონომის“ უმაღლესი წოდება მიენიჭა.

1886 წ. ივანე ანდრონიკაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახაზინო პალატაში ტექნიკური მუშაკის — მწერლის თანამდებობაზე. ოთხი თვის შემდეგ იგი მიწათმოქმედების სამინისტროს რეზერვულ კანცელარიაში გადავიდა. მას დაევალა დაუმუშავებინა მასალები ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების შესაქონლეობის შესახებ. ახალგაზრდა ივანე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და 400 გვერდის მოცულობის საყურადღებო ხასიათის ნაშრომი წარადგინა, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტრომ 1888 წ. გამოაქვეყნა სათაურით „Свод материалов по изучению скотоводства закавказских края“. ნაშრომმა ივანე ანდრონიკაშვილს დიდი პოპულარობა მოუტანა, ამ დროიდან იწყება მისი მრავალმხრივი საქმიანობა.

1888 წლის აგვისტოში ივანე ანდრონიკაშვილი ერევნის გუბერნიის სახელმწიფო მამულების სამმართველოს აგენტად დაინიშნა. დაკისრებული სამუშაოების პარალელურად, კავკასიის მიწათმოქმედების სამმართველოს მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა სურმაღინის მაზრაში, სოფელ ვოუს-გუნში, სადაც თურქეთთან სასაზღვრო მიწების გამოფენის სადავო საქითხებს აგვარებდა.

1888 წლის ოქტომბერში ივანე ანდრონიკაშვილი შორაპნის მაზრაში ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების სამმართველოს და სახელმწიფო მოსახლეობის გამკუდ გადაიყვანეს.

1889 წლიდან იგი კავკასიის მიწათმოქმედების სამინისტროს აგრნომად დაინიშნა კავკასიაში. ამავე პერიოდში აირჩიეს საფლოქსერო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1889-1902 წწ. 14 წლის განმავლობაში ივანე ანდრონიკაშვილი შესანიშნავად ათავსებს ამ ორი ურთულესი, შრომატევადი სამსახურის ხელმძღვანელობას. იგი აქტიურად, დიდი დატვირთვით

მუშაობდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალი კურძის ჯიშების კავკასიაში დანერგვის, ვაზის დაავადებებთან ბრძოლის, მათი მკურნალობის საქმეებში. იგი კავკასიის სხვადასხვა რეგიონში იკვლევდა ვენახების მდგომარეობას, სახვად გზებს მათ გადარჩენისათვის. საფილოქსერო კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩატარა შორაპნის, გორის, დუშეთის, თბილისის მაზრებსა და კასეთის სოფლებში. იგი გლეხების ვენახებში ქმნიდა საწვინებელ ნაკვეთებს, სადაც მოსახლეობას პრაქტიკულად ასწავლიდა დაავადებულ ვენახების მოვლა-პატრონობას, უსსნი-და ფილოქსერასთან და სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებს, თვალნათლევ აჩვენებდა ვაზის დაზიანებულ ადგილებს, მაგენ მწერებით ჩაბუდებულ კერებს, მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ დიდ ცენტრებში სისტემატურად ატარებდა ლექცია-საუბრებს, წერდა და აქვეყნებდა პატარ-პატარა ბროშურებს, პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს და უსასყიდლოდ ავრცელებდა მოსახლეობაში.

ივ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ გერმანელთა კოლონიაში, ჩატარდა რადიკალური ზომები ფილოქსერის გასანადგურებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა და მოეწყო აგაიანის ამერიკული ვაზის ჯიშების სანერგე, რომელსაც იგი 1902 წლამდე ხელმძღვანელობდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის ოქმიდან დაკავშირებით გამოცემის მოწოდებისათვის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ იყენა ანდრონიკაშვილი გამოცემის მომწოდებ კომიტეტის თავმჯდომარედ და კომისრად აირჩია. მან დიდწილად ვაგარაშაძის ამ რთულ საპასუხისმგებლო, შრომატევად საქმეს, ჩვეული გულმოდგინებით და უნაგარო შრომით მან დიდი სამსახური გაუწვია სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოცემის წარმატებით მოწოდების საქმეს. გამოიყენა დიდი მოწონება და საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

1901 წელი აღსანიშნავია იმით, რომ მან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კუთვნილ შენობაში დაარსა ე.წ. ბიურო-საწყობი. მისი მთავარი მიზანი იყო ვენახის მფლობელი მოსახლეობის მანქანა-აარალებით მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვარჯისიანობის გამოცდა, ფილოქსერასა და ვაზის სოკოვან დაავადებებთან ბრძოლისათვის მევენახეთა შე-

საწამლი სითანალო მასალით უზრუნველყოფა. ივ. ანდრონიკაშვილის ინიციატივით შექმნილი ბიუროსთვის ორსართულიანი შენობა აშენდა.

ვინ მოთელის, კიდევ რამდენი სასოფლო-საქმე ვაკეთა ამ ღირსეულმა მამულიშვილმა. 1900 წ. მიწათმოქმედების სამმართველოს დაკავშირებით, იგი მთავრინეს იტალიასა და საფრანგეთში სოფლის მეურნეობის ტერიფასა კულტურების მოვლა-მოშენების შესწავლისა და მათი საქართველოში დანერგვისათვის.

პარალელურად, იგი არჩეული იქნა სასოფლო-სამეურნეო კავკასიის სამმართველოს საზოგადოების წევრად. ივანე ანდრონიკაშვილი სისტემატურად ესწრებოდა საზოგადოების პლენარულ სხდომებს, სხვადასხვა საკითხზე აკეთებდა მოხსენებებს, აქტურ მონაწილეობას იღებდა მხარის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ამ თუ იმ მტკივნეული საკითხის გარჩევად დაწყებებში. არჩეული იყო სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო, აგრეთვე საქართველოს ბანკის სამთავალფერო კომიტეტის წევრად.

1888-1902 წწ. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ივ. ანდრონიკაშვილი ფართო საქმე-ნიერო და პუბლიცისტურ მუშაობას ეწევა. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მისი კიდევ ერთი მონოგრაფია: „ბრინჯის კულტურა კავკასიაში“. ნაშრომი კავკასიაში პირველი და კარგა ხანს საბჭოთა ეპოქამდე ერთადერთი გამოკვლევა იყო ბრინჯის კულტურის შესახებ. ნაშრომში განზოგადებულია მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბრინჯის წარმოების, მისი ქიმიური შემადგენლობის ეკონომიკური მნიშვნელობისა და ვასალების შესახებ. მას არაერთი გამოკვლევა ეკუთვნის მევენახეობა-მეღვინეობის, კურძის ახალი ჯიშების მოშენების, არყის წარმოების და სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებზე. მათ შორის ნარკვევები „მევენახეობა-მეღვინეობა ერევნის გუბერნიაში“, „კურძის და არყის წარმოება ამიერკავკასიაში“, „სოფლის მეურნეობისათვის არა ერთი მტკივნეული საკითხის შესახებ გამოქვეყნებული რიგი სტატიების იმდროინდელ ჟურნალებში, აგრეთვე პუბლიცისტური წერილები და ვრცელი ყოველწლიური ანგარიშები მის მიერ შორაპნის, გორის, თბილისის მაზრებში, კახეთის სოფლებში, აგაიანში, ერევნის გუბერნიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული მუშაობის, ფილოქსერასთან ბრძოლის ხასიათის, მისი შედეგებისა და გამოცდილების ჩვენებით.

1902 წ. ივ. ანდრონიკაშვილს ბათუმის ქ-



ქალაქის სათათბიროს დელეგაცია ეწვია და მას ბათუმის ქალაქისათვის არჩევანზე თანხმობა სთხოვა, მაგრამ უარით ვაისტუმრა. გაწმობილებულმა დელეგაციამ ივ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით ჩამოაკისრა დასველითებითი თხოვნით, რომ თუ იგი არ დათანხმდებოდა შეთავაზებულ წინადადებაზე, ერთი წლის წინ გარდაცვლილი ქალაქის თავის ადგილზე მთავრობა აღარ დააყოვნებდა და უკიდურეს რეაქციონერს დანიშნავდა; შემდგომში პრესიდან გაირკვა, რომ ივ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურას რეკომენდაციას აძლია ჭავჭავაძე უწყველა. ივ. ანდრონიკაშვილმა მეგობრებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მოთათბირება გადაწყვიტა. იგი მათ განუმარტავდა, რომ იმის გამო, რომ იგი თავისი სპეციალობით ქვეყნისათვის სისხლისმარცხელ საკითხებზე მუშაობდა. მას არ ჰქონდა უფლება შუა გზაზე მიეტოვებინა მის მიერ წამოწყებული არა ერთი საქმე გარდა ამისა, იგი თავის თავზე ქალაქის ხელმძღვანელობის დიდ პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა, რადგან მას ამ შირივ არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა. მას ურჩიეს, რომ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ საჭირო იყო მსხვერპლის გაღება. სპეციალობით მუშაობის მიტოვება და ბათუმში სამუშაოდ გადასვლა. დიდი ყოყმანის შემდეგ, ივ. ანდრონიკაშვილმა ბათუმელთა წინადადება მიიღო.

1902 წლის მაისში ივ. ანდრონიკაშვილი ბათუმის ქალაქის თავად აირჩიეს. 14 წლის განმავლობაში იგი სუთჯერ იქნა არჩეული. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ პერიოდში ბათუმში ჩატარებული მთელი რიგი სამუშაოების ხელმძღვანელობაში. მისი ინიციატივით გაშენდა, გაიხარდა, კეთილმოეწყო და დამკვენდა ქალაქი, მისი პარკები და სკვერები. აშენდა არაერთი საფორაღლები დაწესებულება და სასწავლებელი, მოეწყო ქალაქის წყალსადენი, ელექტროსადგური, გაიხსნა ბათუმი-ვარსის რკინიგზა. დაიკვირა და გაკეთდა პროექტი უახლოესი სისტემით ქალაქში კანალიზაციის გასაყვანად, იგი მუარველობდა და სისტემატურ დახმარებას უწყვედა როგორც ცალკეულ პირებს, ისე სახელმწიფო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მისი რედაქტორობით და ძალისხმევით, ბათუმის შემოღობვის ოცდახუთი წლის აღსანიშნავად, გამოიცა სათუბილეო კრებული „Батум и его окрестности“.

1905-1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ივ. ანდრონიკაშვილი მთელი არსებით ცდილობდა

ბათუმიდან გაეყვინთა კახაკთა დროსწავლი რაზმები და დაეცვა უიარაღო ამბოხებულები. ამ მიზნით იგი ორჯერ გაეჭებავრა თბილისში. მისი მუხლები — ლიბია სოციალური მუხრავლობა და კომარბობა რევოლუციონერებს, იგი თვითონ აერცვლებდა პროკლამაციებს, მის სახლში ორჯერ გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხდომა, აქვე ვახსნილი იყო ლაზარეთი, სარდაფში ინახებოდა იარაღი

1916 წ. ივ. ანდრონიკაშვილი მუხუთედ აირჩიეს ბათუმის ქალაქის თავად, მაგრამ ცნობილი ქართველი მრეწველის თხოვნით, იგი სამუშაოდ ბაქოში გადავიდა.

ივ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობით მადლიერმა ბათუმელებმა გულბო მიკისათხოვეს საღამო მოაწყვეს. აქ მისდამ სვევარულსა და პატვისციკმის გამომზარეული არა ერთი სიტყვა იტყვა, „Начав Вашу деятельность в 1902-м году, когда материальное положение города было в значительном упадке, Вы применили всю свою силу Вашей энергии, всю любовь обществу и делу и достигли того, что незначительное городское хозяйство развилось и окрепло... Несмотря на бесчисленные пренюны, Вы воплотили жизнь своей идеей на благо родного города — и своей работой Вы воодушевили всех нас“ — ნოტუქამ იგი ქალაქის გააგეობის მიმართავში.

ქალთა გიმნაზიის მიმართავში აღინშნული იყო, რომ გიმნაზია მადლიერმა „специально вашим заботам... она нашла в вашем лице исключительного, прямого защитника ее интересов, отстаивавшего не только ее материальные нужды но и оказавшего ей полную нравственную поддержку“ ასეთივე მადლიერებით აღსავსე სიტყვებმა წარმოიქმნა სახილდო-სამუერნო საზოგადოების და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებმა და ცალკეულმა პირებმა.

ივ. ანდრონიკაშვილის ბათუმში მრავალწლიანი აქტიური მოღვაწეობა მადლიერმა საზოგადოებამ დირხეული დადგენილებით გამოხატა. მას მიენიჭა ქალაქ ბათუმის საპატო მოქალაქის წოდება. ბათუმში ქურას, სადაც იგი ცხოვრობდა ივ. ანდრონიკაშვილის სახელი ეწოდა. ქალაქის სათათბიროს დიდ დარბაზში გამოყინეს მისი დიდი პორტრეტი. ბათუმის ქალაქის გამგეობამ მას პერსონალური პენსია (1800 მან.) დაუნიშნა, რომელსაც იგი განსაბუთებამდე ყო-

ველწლიურად იღებდა.

1916-1918 წწ. ივ. ანდრონიკაშვილი ბაქოსა და სპარსეთში ა. ხოშტარიას მიერ დაარსებულ რუსულ-სპარსული საზოგადოება „რუსპეტოს“ მმართველად მუშაობს. იგი მრავალმხრივ და მრინატივად სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსურ საქმეებს ასრულებს. არის ენჯელ-თორანის 400 კმ. გზის სასწრაფოელის დირექტორი და გაშვებული ავტარებს მგზავრთა და სატვირთო გზაწინილების გადაადგილებას. ხელმძღვანელობს პრობაზარსა და რემტს შორის ეიწროლიანდაგაან რკინიგზის მშენებლობას, გემებით მობრუნობს ორგანიზაციას. პარალელურად განაგებს და მეთვალყურეობას უწევს ჩრდილოეთ სპარსეთში - ვილიანის რაიონში სპარსეთის მენათობე კონცესიების მიწვებზე არსებული ტყეების ექსპლუატაციასა და ბრინჯის უზარმაზარი პლანტაციების საქმიანობას.

თბილისში საქმეებზე ჩამოსული ა. ანდრონიკაშვილი მსოფლიო ომის დამთავრებისა და მუსავატისტური მთავრობის აზერბაიჯანში ფორმირების პერიოდში სარკინიგზო კავშირის განწყვეტის გამო, შვიდი თვის განმავლობაში ბაქოში მყოფი ცოლ-შვილისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მოსკოვში ჩამოსულა. ხოშტარია მენშევიკურმა მთავრობამ ბაქოში მუსავატისტურ ხელისუფლებასთან მოსაგლაპარაკებლად ვაგზანა. დღეგაგაცისათვის სპეციალურად გამოყოფილი მატარებლით ისარგებლა ივ. ანდრონიკაშვილმა და ბაქოში ჩასულა შეძლო. აქ მას შეუძლევ და 3 შვილი უძიმძეს მდგომარეობაში ახდვდა: მის ქონებას და სახელ-კარს ახდლმა მთავრობამ კონფისკაცია გაუკეთა. უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ უპატრონოდ დარჩენილ მის ცოლ-შვილს უსარეცელოდ და ულოგინოდ იატაკზე გიხია. ივ. ანდრონიკაშვილი შეეცადა სხვენზე შეგრედი უნიკალური ბიბლიოთეკა გადაერჩინა. მან წიწები ყუთებში ჩაალავა და წამოალაგება გააშხადა, მაგრამ მატარებლის ვაგონების უკიდურესად გადატვირთვის გამო, მათი წამოღება ვერ მოხერხდა. თბილისში იგი მორალურად განადგურებული, გაძარცვული და ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა.

1918 წ. მენშევიკების მმართველობის პერიოდში ივ. ანდრონის ელექტროსადგურის კონცეპსია გამოგიობის მმართველად დაინიშნა. მას მდ. რიონზე 125.000 ცხ. ძალის მქონე ელექტროსადგურის პროექტის შედგენა დაევალა.

1919 წ. ივ. ანდრონიკაშვილი სპარსეთის

მეცნაზე-მეღვინეთა ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს. ყრილობის საბჭოს დადგენილებით, იგი უზრუნალ „ვაზი და ღვინო“ რედაქტორად დაინიშნა. უზრუნალი დიდად არის დაკლებული ივ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობით. იგი ცხოველ ყურადღებას იჩენდა, თავს არ ზოგადა მალალი დონის წყაროების შერჩევა-დაბეჭდვებში. ყოველ ნომერში (1920-1921 წწ.) მისი მოწინავე სტატია იბეჭდებოდა.

ივ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობაში ეს პერიოდი შრომატევადი და მრავალმხრივ დატვირთულია. იგი დიდი გულმსყურით, მონდომებით, საქმისადმი ჩვეული ერთგულებითა და სიყვარულით ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას. იგი არის „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ და ამიერკავკასიის ბანკის სარევიზიო კომისიის წევრი. 1920 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პალატის თავმჯდომარედ. პალატა ცენტრალური ორგანო იყო და ხელმძღვანელობდა საზოგადოებებს: „ენკავშირი“, „მწვემსა“, „მეცნაზე-მეღვინეთა კავშირი“ და სხვა ორგანიზაციას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად, ივ. ანდრონიკაშვილმა შექმნა საპატრიო ამხანაგო „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სარქველი“. ამხანაგობამ ივ. ანდრონიკაშვილი მიწვეს თბილისთან (300-350 დესეტინა), სადახლოსთან (70-80 დესეტინა) და ვორთან. თბილისთან გახსნა მრეწველობის ფერმა და საფუტკრე, თბილისში - მეხვის ქარხანა. მათ ვათავალისწინებული ჰქონდათ სადახლოში ბოსტნეულის, ვორში - ხეხილის ბაღის გაშენება. ფერმის საქმიანობა სწრაფად წაივია წინ, მაგრამ ქვეყნად შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მენშევიკურა მთავრობის დამხობამ და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ასოფლურურად შეცვალა ივ. ანდრონიკაშვილის გეგმები და ქვეყნის ბედი. გაუქმნა, დაიხურა ყველა საწარმო და სახელმწიფო ორგანიზაცია, მათ შორის ყრილობის საბჭო, სასოფლო-სამეურნეო პალატა, რომელთაც ივ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა. აგრეთვე მისი კერძო ფერმა, მასთან არსებული სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები.

მენშევიკური მთავრობის დამარცხების შემდეგ ხელისუფლების და ქართველ კაპიტალისტთა დიდი ნაწილი უცხოეთში გაიქცა. ივ. ანდრონიკაშვილმა ა. ხოშტარიასთან ერთად



უცხოეთში ემიგრირებაზე უარი თქვა. მან საკუთარი ქვეყნის მსახურად ყოფნა არჩია.

მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ დატვირთული იყო ივ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა საბჭოთა ეპოქაში.

საბჭოთა ხელისუფლების ფორმირების წლებში სხვადასხვა დარვის სპეციალისტები პროფესიების მიხედვით დაჯგუფდნენ. აგრონომები, მეტეოლოგები და მიწის მშობელები ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ. კადრების შერჩევის შედეგად, 1921 წლის მარტში ი. ანდრონიკაშვილი „მიწა-ტყის“ პროფკავშირის თავმჯდომარედ დანიშნეს. იგი მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით და საქმისადმი ერთგულებით, მთელი დატვირთვით ჩაება მუშაობაში. თანამდებობაზე დანიშნულ იგი რწმუნით აღავსო. ახალ ეპოქაში რომ სათანადოდ დაეფასებინა და საპასუხისმგებლო საქმე ჩააბარეს, ამ გრძნობამ მას სტიმული მისცა და მის დაუცხრომელ ენერჯიას ახალი ძალები შემატა. ივ. ანდრონიკაშვილს დიდი წვდოლი მიუძღვის „მიწა-ტყის“ საორგანიზაციო საფუძვლის ჩამოყალიბებაში. ამ დღი საქმის შექმნის პროცესში, მისივე აღიარებით, შესაძლოა კიდევ ჰქონდა დაშვებული შეცდომები, მაგრამ გარშემო მყოფ სპეციალისტებთან შდრებით, იგი გაცილებით გამოცდილი, აქტიური, მიზანსწრაფული იყო. ივ. ანდრონიკაშვილის საქმიანობით აღტაცებული არა ერთი მოხელე გაკვირვებულა მისი საზრადინ ხელმძღვანელობით, საკითხების ახლებურად ჰვერტის ადლოთი, გადაწყვეტილების სისწორითა და აქტუალობით. პლუნუმზე „მიწა-ტყის“ საქმიანობა მოიწონეს, დადებითად შეაფასეს 6 თვის მუშაობა, მაგრამ არჩევნებში ხმის უმრავლესობით პარტიული მუშაკი აირჩიეს.

1921 წლის აპრილიდან ივ. ანდრონიკაშვილი პარალელურად საქართველოს მიწათმოქმედების კომიტეტის სახალხო მეურნეობის ქვეგანყოფილების გამგედაც მუშაობს. მისი ინიციატივითა და რედაქტორობით შეიქმნა ყოველთვიური ყურნალი „სოფლის მეურნე“. ყურნალის ყოველი ნომერი ივ. ანდრონიკაშვილის მიწინავე სტატიით იწყებოდა.

1921 წ. შემოდგომის და 1922 წლის დასაწყისში „ცენტროთივის“ თავმჯდომარედ, ნოემბერში კი სახალხო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ დანიშნეს (1929 წლიდან ეს მეურნეობები სამტრედიუს გადაეცა)

1922-1925 წწ. ივ. ანდრონიკაშვილი სა-

ხალხო მამულების განყოფილების გამგედი 1923 წლის თებერვლიდან იგი შეთავსებით მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის მოწყობას ხელმძღვანელობს. გამოფენის სამუშაოების წარმატებით ჩატარების შემდეგ, მიწსახკომმა ივ. ანდრონიკაშვილის დაწინაურებაზე შეამდგომლობა აღძრა. საქართველოს ბანკების რეორგანიზაციის შემდეგ, 1925-1926 წწ. იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. ამ პერიოდში იგი აქტიურად მუშაობს რეორგ. ცენტრალური ბანკის, ისე მისი ფილიალების და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო აზნაგობების წესდებების შემუშავებაზე და მათ მიერ შექმნილი ახალი ორგანიზაციების ადგილზე. (აღმოსავლეთ საქართველო) გაფორმებაზე.

სასოფლო-სამეურნეო ბანკში მუშაობის დროს ივ. ანდრონიკაშვილი სიღვეო საკითხების პრობლემების რთულ ქსელში გაეხვია. მთავრობის დადგინლების არაერთგვარი მიდგომის გამო, ამიერკავკასიის ბანკის მმართველს ჩხენკელსა და სასოფლო-სამეურნეო ბანკს შორის დაეა წარმოიშვა. ჩხენკელმა ივ. ანდრონიკაშვილი ამიერკავკასიის ბანკის მიმართ საბოტაჟში დაადანაშაულა, მაგრამ საკითხის საფუძვლიანი გარჩევის შედეგად, დაეა სასოფლო-სამეურნეო ბანკის სასარგებლოდ გადაწყდა ივ. ანდრონიკაშვილმა გაიანარჯვა.

ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ბანკს აგრეთვე მიწსახკომის თავმჯდომარე - გეგეჭკორი დაუპირისპირდა. დაეა ორმა გარემოებას განაპირობა. ბანკმა მიწსახკომს დაუფარავი, მოსკოვში 1923 წ. გამოფენის მოწყობისთვის გამოყოფილი თანხის დაფარვა მოსთხოვა. ამასთან, თვის გამოყოფილი თანხის დაფარვა მოსთხოვა. ბანკმა საკრედიტო თანხების დაბრუნების არგუმენტირებულად დასაპოთებული საფუძვლის გარეშე, ახალი კრედიტების გაცემაზე მიწსახკომის - გეგეჭკორის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის გამო აღშფოთებულმა გეგეჭკორმა მოსკოვში გამოფენის მოწყობი კომისია (მათ შორის ივ. ანდრონიკაშვილი) დახარჯული თანხების არამიზნობრივად გამოყენებაში დაადანაშაულა და გამოფენის მომწყობი კომისიის ყოფილი წევრების თანამდებობებიდან გათავისუფლების საკითხი დააყენა. მთავრობის თანხმობით საკითხის შემსწავლელი კომისია ჩამოყალიბდა. კომისია მთელი წელი მუშაობდა

და დანაშაულებრივ ბრალდებების მივლი ტომი შეადგინა. გუგაჭკორი (როგორც ბანკის წარმომადგენელს და მიწსასჯომის ყოფილ თანამშრომელს, რომლის დაწინაურებაზე მიწსასჯომმა აღძრა შეამდგომლობა) პირადად ივ. ანდრონიკაშვილის უკუვადგინა. ივ. ანდრონიკაშვილმა ბრალდებებში წარმოდგენილ თითოეულ პუნქტზე ფაქტობრივი მონაცემებით და დაკითხული პირების ჩვენებებით კომისიის წევრთა უანგარო საქმიანობა დააბნეოდა, დავა შეწყდა, მაგრამ გუგაჭკორმა ხელახლა აღძრა საქმე და გამოფენის კუთხის დაფარვის საკითხის პროკურორისთვის გადაცემის მოთხოვნა, ამასთან მან რესპუბლიკის ყრილობაზე ბანკის მუშაობის საკითხი დააყენა და აიძულა ივ. ანდრონიკაშვილი, ყრილობაზე ბანკის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოხსენებოდა, სადაც მას მრავალ, მოხვადებულ, აგრესიულად განწყობილ პირთა, შეკითხვებზე ასუსხის გაცემა მოუხდა. ამ თავდასხმებმა გუგაჭკორს წარმატება ვერ მოუტანა, იგი დამარცხდა. შემდგომში ივ. ანდრონიკაშვილი ბანკის მართვლად დანიშნულ გუგაჭკორთან ნორმალურ დამოკიდებულებაში დარჩა. მას პრინციპულად დასჯიან ადამიანად თვლიდნენ.

ივ. ანდრონიკაშვილის ა. ხოშტარასთან თანამშრომლობა საბჭოთა ეპოქაშიც ვაგრძელდა. ხოშტარია (კარგალ იცნობდა მისი საქმისადმი ერთგულებას, ნიჭსა და პრინციპულობას, ამიტომ ცდილობდა, არ გაეწვევინა მასთან კავშირი და საჭიროების შემთხვევაში, დაესაქმებინა. რიონჰესის მშენებლობის საკითხების და ქართული ლინიოების უცხოეთში ექსპორტირებისათვის, ა. ხოშტარას ინიციატივით, ივ. ანდრონიკაშვილი რიონჰესის მშენებლობის პროექტითა და სათანადო მასალებით, 1922 წ. კონსტანტინოპოლში მიავლინეს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ა. ხოშტარას ინიციატივით უცხოელ საცივალისტებსა და ინჟინერთან მიღებული შეთანხმება კატეგორიულად უარყო, არ დაეთანხმა რიონჰესის მშენებლობაში უცხოური კაპიტალის ჩართვას. მოლაპარაკება ჩაიშალა, ხელშეკრულება არ გაფორმდა.

1926-1928 წწ. ივ. ანდრონიკაშვილი სპარსეთში ა. ხოშტარას რუსულ-სპარსული სანაწარმთა სააქციო საზოგადოების „კევირ-ხურაინ-დომბაჯის“ გამგეობის წევრი, მისი საქმეების რწმუნებული და საბჭოთა კავშირსა და სპარსეთის შორის საერთო და სადავო საკითხების დიპლომატიური ურთიერთობების მარგველი იყო.

ბელია.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანტიკომუნისტურად განწყობილ ა. ხოშტარასთან ივ. ანდრონიკაშვილის მუშაობა რთული და მძიმე გამოდგა. იგი დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, რადგან ივ. ანდრონიკაშვილის სახით ა. ხოშტარას დაუპირისპირდა საბჭოთა საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავდა და არც აპირებდა აღნიშნული ვზიდან გადახვევას. მან მტკიცედ დაიცვა დიპლომატიისა და სამშობლოს ერთგული მოქალაქის პოზიცია; ხოშტარასს სახით და მისი ინიციატივით არ შეეკრა საპირისპირო ძალებს, არ დაეთანხმა ა. ხოშტარას რიგ პრობლემურ საკითხებში და დირსება და მოქალაქეობრივი სინდისი შეინარჩუნა. ივ. ანდრონიკაშვილი ნაცვლად კონტრაქტით გათვალისწინებული 3 წლისა, ის 2 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

1928 წ. ივ. ანდრონიკაშვილი ჯერ საქართველოს საგეგმო კომისიის შემდეგ 1929 წ. საქართველოს სსრ კომისართა საბჭოს კონსულტანტად მუშაობს. 1929 წლიდან იგი „სამტრესტის“ – საბჭოთა მურნეობების მმართველის მთავარი იყო გადაწყვეტი. 1930 წლიდან ხელმძღვანელობს „სამტრესტის“ საგეგმო, საწარმოო, სამშენებლო, შრომის და კადრების სექტორებს, სამტრესტის ნაწილობრივი რეორგანიზაციის გამო და პარტიული კადრების წინ წამოწევის შედეგად, 1931 წ. ივ. ანდრონიკაშვილი ჯერ მკორე, შემდეგ 1932 წ. მესამე მთავარი იყო გადაწყვეტი. მას მხოლოდ საგეგმო სექტორის ხელმძღვანელად ტოვებენ. ამ პერიოდში ივ. ანდრონიკაშვილი დიდი დატვირთვითა და ენთუზიაზმით განაგრძობს მუშაობას. 1932 წ. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელსაც მურნეობებისა და წარმოებების წელიური ანგარიშების განხილვა-შეწესება და დამტკიცება დავადა. მისივე თავმჯდომარეობით გამოიყო ცენტრალური ბიურო, რომელსაც II ხუთწლიანი გეგმის შედგენა-დაშუქება დავადა. აღნიშნული გეგმის შედგენისა და მისი მუშაოში დაშუქებისათვის პრემიალური (700 მან) მიიღო, დაენიშნა პერსონალური ხელფასი (700 მან). მისი თავმჯდომარეობით შედგენილი კომისიამ შეისწავლა და შეაჯერა საქართველოს სსრ საქართველოს სსრ მუშა-გლეხობისა და ხსენა ადმინისტრაციული დანახარჯები. 1934 წ. დაამთავრა ნაშრომი „სამტრესტი“ (წარსუ-

ლი, ანყო და მოხალისე). ივ. ანდრონიკაშვილის სამტრედიის მიწის დარსხულ დაწესებულებად, რომელსაც შეეძლო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინება. მან ნ წლის მუშაობის ჩანაწერზე ისე შეისისხლხორცა, შეიფარა სამტრედიის საქმიანობა, რომ თავის საბატიო მოვალეობად ჩათვალა სამტრედიის საქმიანობაზე დაწესებულება, რათა მოხალისე თანამშრომლობისათვის დაენახებინა სამტრედიის როლი და მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში.

ივ. ანდრონიკაშვილის, გამოცდილი სპეციალისტის, ჭარბადი, პრინციპული და პატიოსანი მუშაობის თვალს არ გამოეპარა საბჭოთა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლის მისდამი დამოკიდებულება, თანამდებობრივ დაქვეითებას და პარტიული ელიტის დაწინაურებას. იგი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მოთხოვნით ხსნიდა; ის წინ მასზე დაკისრებულ საქმეს აყენებდა და ყველა შემთხვევაში მიუღივებოდა, ერთუხიანობითა და პრინციპულობით განაგრძობდა საქმიანობას. მაგრამ ივ. ანდრონიკაშვილის, პატიოსანი კაცის კეთილშობილი ბუნება ვერ ურიგდება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში პარტიული ხელმძღვანელების მიერ დამუშავებულ შეცდომებს, სიყალბეს და გვეგემების შესრულებაზე უაზრო გამოდევნებას, რომელსაც ქვეყნისათვის დიდი ზარალი მოაქვს. ამ პოზიციით განაგრძობდა საქმიანობას. მაგრამ ივ. ანდრონიკაშვილის, მიწისკომის თავმჯდომარის - კუხალეიშვილს თანამშრომელთა ჩარევის გარეშე პირადად რამდენჯერმე შეასხენებს დაშვებულ შეუწყნარებელ შეცდომებზე, მათი თვით და შექნილი მდგომარეობიდან გამოსვლად გზებსაც სახაევს, მეტად მის რჩევებსა და გულისრუხილს შეეფიცა არ მოაქვს. პარტიული ხელმძღვანელი ერთპირთაგანად წყვეტს ყველა საკითხს და ივ. ანდრონიკაშვილის შენიშვნებსა და გაფრთხილებებს უგულბებდა, რასაც ქვეყნისთვის წარმოუდგენელი ზარალი მოაქვს. ივ. ანდრონიკაშვილის მიერ დაფიქსირებულია ასეთი რღვევებისა და სიყალბის არა ერთი ფაქტი: შემომწიფებელი კომისიისათვის ერთი და იგივე ცხვრის ფარის გადაადგილებით, ცხვრის საჭირო რაოდენობის მეურნეობებში ფიქტიური ზრდის ჩვენება; დიდი რაოდენობით დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვა. ავადყოფილობის გამო ძროხების ნაკიანობის და წველაფილობის შეცდომება და უაზრავი საქონლის დაღუპვა; ვახუშტის რაიონში (14.000 სულა) დაავადებული ცხვრის

შესყიდვა, ადგილზე გადმოყვანილი ცხვრების ერთხანად დაღუპვა; წლიური გვეგემების რაოდენობით მაჩვენებლებზე გამოდევნება და ხარისხიანობის შემცირება; დიდძალი კაპიტალის უგერველოდ გაფლანგვის შედეგად ყოველწლიურად ზარდ თაღლიტების მილიონ მანეთობით 60-70%-ით გადახარჯვა; მანავის საბჭოთა მეურნეობაში ვახუშტის ამერიკული ფიშის 100 ჰექტარ ფართობზე დანერგვისას არასწორად ჩატარებული სამედიცინო სამუშაოს გამო, ამერიკული ფიშის სანერგვის სრული განადგურება და სხვ.

ჩამოერთვილი ზარეგები ივ. ანდრონიკაშვილის დიდ აღმოფხვრებას იწვევს. მას თავისი პირადი ღირსების შეურაცხყოფად მიანია სიცრუისა და სიყალბის ატმოსფეროში სამსახური, ამიტომ ვერ 1929 წ. შემდეგ 1933 წ. და ბოლოს 1934 წლის დასაწყისში, ივ. ანდრონიკაშვილს ავადყოფილობისა და ხანდაზმული ასაკის გამო, პენსიაში გაშვებაზე განცხადებას წერს. აღმინისტრაცია იმ მოტივით, რომ იგი ვერ შრომისუნარიანი, საქმიანობის საჭირო და სასარგებლო მუშაკია, განცხადებას არ აკმაყოფილებს მაგრამ მოსკოვში საქმიან მივლინებაში მყოფ ივ. ანდრონიკაშვილს სამტრედიის მმართველის - კუხალეიშვილი იმავე წელს, 1934 წლის 1 დეკემბერს, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ათავისუფლებს სამსახურიდან. ამ გადაწყვეტილების საბაზად ამიერკავკასიის სახელმწიფო თესვის კომიტეტის თავმჯდომარის - მაზღრინის განცხადება იქნა მიჩნეული. ივ. ანდრონიკაშვილი დაადანაშაულეს 1933-34 წწ. მარცხიანად მიმდინარე ტენდენციურ, განაწილებასა და სამტრედიის სასარგებლო ზედმეტ მარცხიანად გადაწყვეტაში. ეს იმდენად აბსურდული და უსაფუძვლოდ შედეგინი ბრალდება იყო, რომ მაზღრინის მოთხოვნა საქმის სასამართლოში განსახილველად გადაგზავნის შესახებ, ბერიაშვილს საერთოდ უუარაღებოდ დატოვა და შემდგომი მსჯელობა არ მიცხა.

1933 წ. დასაწყისში მიწათმოქმედების ცენტრალურმა პროფკავშირმა და სახალხო კომსარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცკპ წინაშე ივ. ანდრონიკაშვილისათვის, საქართველოში სახელმწიფო სამსახურში მყოფი უხინეი სპეციალისტი - აგრონომის 46 წლიანი სასარგებლო სამუშაო სტაჟის და ღირსეული სამეცნიერო შრომებისათვის შრომის გმირის წოდების, პერსონალური პენსიის დანიშვნის და



საბიუტელო თარიღის ზეიმთ აღნიშვნის შესახებ. მაგრამ ივ. ანდრონიკაშვილი ამაოდ ელოდა ამ წარდგინებაზე დადებით პასუხს. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

მუერაცხეოფილი და დამცირებული ივ. ანდრონიკაშვილი, პერსონალური პენსიის დანიშნისთვის ზრუნვას იწყებს. იგი ავროებს მასი მრავალმხრივი სამსახურებრივი საქმიანობის ამსახველ მასალებს თბილისსა და ბათუმში. მის პირად არქივში დაცულია მთავრობის წარმომადგენლებთან, კერძო პირებთან გაგზავნილი წერილები, განცხადებები, მისი სამსახურებრივი მოღვაწეობის ამსახველი მონაცემების დართით - გ. სტურუასთან, ს. ყუფარიძესთან, გ. სოლოლაშვილთან, ივ. ჯავახიშვილთან, თვით ი.ბ. სტალინთანაც კი, სადაც ივ. ანდრონიკაშვილი თხოვს სამართლიანად, ობიექტურად შეფასონ მისი მოღვაწეობა და დაუნიშნონ დამსახურებული პერსონალური პენსია. საქითხის სამკურ განხილვის შემდეგ, 1938 წლის 28 ივლისს მას პერსონალური პენსიის დანიშვნაზე განსაკუთრებული დამსახურების არ არსებობის გამო, უარი ეთქვა.

გადაწყვეტილებით განცხადებული ივ. ანდრონიკაშვილი, 1939 წ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პროფესორ ივ. ჯავახიშვილს წერს: „გაპირობებს იწყებს ის ვარკობა, რომ სამკურ განხილული საქმე საბოლოო დადგენილებით, ვიამი პერსონალური პენსიის მისაღებად არა მაქვს განსაკუთრებული დამსახურება ვერ შემთენია, თუ რა ხასიათის დამსახურებას მოხოვენ პირადად მე? ნუთუ საკმარისი არ არის 50 წლის სამსახურის სტაჟი მთელი რიგი ნაშრომები და რევოლუციის წინაშე დამსახურება?.. მაგრამ რა გაეწეობა“ მართლაც კიდევ რა სამუშაო უნდა შეესრულებინა ივ. ანდრონიკაშვილს, რომ პერსონალური პენსიის დანიშვნის ღირსი გამხდარიყო?!

ივ. ანდრონიკაშვილს მაინც სჯერა, რომ საბიუტელო-სამკურ გზას არ დაკარგავს, პრინციპულად, სიცოცხლის ბოლომდე იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად; მისთვის წარმოუდგენელი და დაუფერებელია, რომ ცხოვრების როულ გზაზე სამშობლოს ინტერესების სამსახურში ნამაგარი აღამიანის დასაგერა შეიძლება. სწამს და კვლავ იმედს არ კარგავს, სჯერა გამარჯვებისა, მაგრამ იგი ისე ამთავრებს ცხოვრებას, რომ მთავრობისაგან მისი შრომის ღირსეულ

შეფასებას ვერ იღებს, რაც ცხოვრების უკანასკნელ წლებში როგორც ეკონომიკური, ისე სულიერი გამხსნელებისთვის აგერაგად ვირდება მხცოვან და ამაკლარ აღამიანს.

ხანდაზმულობის მიუხედავად, საქმისა და შრომისმოყვარული ივ. ანდრონიკაშვილი მაინც განაგრძობს აქტიურ საქმიანობას. 1935-1936 წწ. ამერკავკასიის თელავის სამეცნიერო-კვლევითი მეცნიერება-მედიცინის ინსტიტუტის ეკონომიკური განყოფილების კონსულტანტია. მას სამეცნიერო თქვის დამუშავება და ინსტიტუტის საცდელი საწარმოო ბაზის საორგანიზაციო გვემის შედგენა დაკვალა, რაც მან წარმატებით შეასრულა.

1937-1940 წწ. ივ. ანდრონიკაშვილი მიწით-მოქედების სახალხო კომისარიატთან არსებული საქართველოს საგამოყვანო კომიტეტის თანამშრომელი, შემდეგ კონსულტანტია. მას 1937-1940 წწ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოყენის მოწყობაში მონაწილეობის მიღება დაეუღლა, მაგრამ პოლიტიკური ვარდაქმებისა და მსოფლიო ომის დაწყების გამო, კომიტეტი არსებობა შეწყვიტა.

1941-1946 წწ. ივ. ანდრონიკაშვილი უკიდურესი გაჭირვების გამო, იძულებულია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვერტეხიკოსი-პრეკარატორის თანამდებობაზე შემდეგ ლბორანტად იმუშაოს. იგი უადრესად მადლიერი და ექაყოფილა ინსტიტუტის თანამშრომლების, განსაკუთრებით მეცნიერების კათედრის თითოეული წევრის, მისდამი გულისხმიერი დამოკიდებულებით. შექმნილმა ატმოსფერომ მისი ვერ კიდევ ჩაუქრალი ძალეების აღრიძინება-განახლებას შეუწყო ხელი და ახალ-ახალი სამეცნიერო საქმიანის შესრულების უნარი და შესაძლებლობა გაუხარდა. კათედრის გამგის, პროფესორ ჩოლოყაშვილის და სხვათა წინადადებებით, მან უადრესად საეურადღებო და შრომატევადი სამუშაო შეასრულა. იმ პერიოდში ივ. ანდრონიკაშვილი შეადგინა მეცნიეების ენციკლოპედოური ლექსიკონი (მოიცავს 986 დასახელებას) 1943 წ.; ბიბლიოგრაფიული ცნობარი ანბანური სარჩევით - მეცნიერება-მედიცინისაზე ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული მასალების აღრიცხვით (1946 წ.) დაწერა ნაშრომი - „საქართველოს მეცნიერება-მედიცინის ისტორიული მიმოხილვა“. დაამუშავა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების 12 ტომი - ამოკრიფა მასალები მე-19ს.

საქართველოს მევენახეობა-მღვინეობის შესახებ (1943 წ.). შრომიდან საქართველოს ყოფილ სამცხე-ჯავახეთის დაუფლებაში კანონთა წიგნით დაწესებული საგადასახადო ობიექტთა სა" - ამოკრიფა, დიდი მიზუსტით დააჯგუფა და დაავაჰა ნაშრომში მოცემული მარკეტებლები - მოსახლეობის, სოფლების, თემების, ფართობების და გადასახადების შესახებ მონაცემები თითოეულ ობიექტზე ფულადი და ნატურალური გადასახადის და სხვ. ჩვენებით (1943 წ.).

და ბოლოს, როგორია ივ. ანდრონიკაშვილის ოჯახური მდგომარეობა?

1887 წ. იგი დაქორწინდა ლილია სოკოლოვაზე. შეეძინა 3 შვილი - ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. 1915 წლიდან ვაჟიშვილი დამოუკიდებლად ცხოვრობს ჯერ პეტროვრადში, შემდეგ მოსკოვში. საქართველოში პერიოდულად, შშობლების სანახავად ჩამოდის. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს, 1931 წ. იგი თბილისში დააპატიმრეს და 10 წლით ჯერ ტაშკენტში, შემდეგ სოლოკეში გადაასახლეს. ივ. ანდრონიკაშვილის ერთი ქალიშვილი 1920 წ. საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადავიდა. მასთან ოჯახს კონტაქტი გაწყვეტილი ჰქონდა. მეორე ქალიშვილი თბილისში დღესათან ცხოვრობდა.

1923 წ. ივ. ანდრონიკაშვილი და სოკოლოვას გაშორდა და მეორედ დაქორწინდა ფ. თურქიაზე. მისგან შვილები არ ყოლია.

მასალებიდან ჩანს, რომ მიუხედავად ივ. ანდრონიკაშვილის წამყვან თანამდებობებზე მუშაობისა, მისი ოჯახი ეკონომიურად სრულყოფილი არ არის. იგი მუდმივად ფინანსური პრობლემების წინაშე დგას. ბათუმში ქალაქის თავად მუშაობაზე უარს, იგი თბილისისა და ბათუმის ბანკების 50.000 მან. ვალის გამო ამბობს, სარფიან სამსახურში გადახდას ვალის დაფარვის მიზეზით ხსნის. ბათუმში მისი წლიური ხელფასი 5000 მან. შეადგენს, რაც მის ოჯახურ ხარჯებს ვერ ფარავს. იგი აფიქსირებს, რომ მას სხვა არანაირი შემოსავალი არ გააჩნია. მაგრამ ა. ხოშტარიასთან მუშაობა პოლიტიკური სიტუაციის გამო, როგორც დაგინახეთ, სავალალოდ დამთავრდა. მან დაკარგა ყველაფერი, მისთვის ფასდაუდებელი უნიკალური ბიბლიოთეკაც კი. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ისეხსა საბაიო კაბილეო

და სასოფლო-სამეურნეო სააქციზო ამხანაგობა დაარსა, მაგრამ ისევ ძირეული პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, დაკარგა ყველაფერი. ანალოგიურ მდგომარეობაშია ივ. ანდრონიკაშვილი საბჭოთა ეპოქაშიც. ახალი ოჯახის ცარიელი ნიადაგზე შექმნილი მდგომარეობის გამო, ისევ ახოშტარიასთან სპარსეთში სამუშაოდ გადადის. მაგრამ აქაც ვერ ზერხდება ისე ეკონომიკურად მოძლიერება. და ბოლოს, ა. ანდრონიკაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პერსონალურ ჰუნის დანიშნაზე იბრძვის, რაც როგორც ჩანს, მისთვის სისხლ-ხორცეული საკითხია. მაგრამ აქაც ამაოდ.

მოტიანილი ფაქტების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ შინაგანი ბუნებით სუფთა, წესიერი და პატიოსანი ივ. ანდრონიკაშვილი არახლოვან გამოდგენება ფულის უკანონო მოხვეჭასა და სიმდიდრეს. იგი არც თანამდებობრივ დაწინაურებისათვის იბრძვის; მას ორჯერ შესთავაზეს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ადგილი, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღო. სამშობლოსა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგულება და ღირსების შენარჩუნება აღიარა მან თავისი ცხოვრების პირველი რიგის ამოცანად და ცხოვრების მიზნად.

ივ. ანდრონიკაშვილი 1947 წელს 85 წლის გარდაიცვალა საღი აზროვნების მქონე, სურვილით, კვლავ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ემსახურა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, იგი წერდა: „ მიუხედავად ხანდაზმულობისა საბედნიეროდ, მე კვლავ კინარჩუნებ მნიშვნელოვან ძალებს და ენერჯას და სურვილი მაქვს დაუღალავი ენერჯით ჩემი სპეციალიზით ვემსახურო სამშობლოს“.

ასეთი იყო ჩვენი ღირსეული თანამემამულის, ივ. ანდრონიკაშვილის ცხოვრების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა.

ივ. ანდრონიკაშვილი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა პრინციპული, თავისი საქმის, რწმენის და სამშობლოს ერთგული მსახური; იგი არც ერთ პარტიაში არ შევიდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგულად ემსახურა სამშობლის ინტერესებს, როგორც სპეციალისტი აგრონომი, მეცნიერი, პუბლიცისტი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

მაგარი სასმელების წარმოების უპიკედეზი

თიმურაზ ლონიძე



მაგარი სასმელების წარმოების განვითარებას საქართველოში ტრადიციულ-ისტორიული საფუძველი არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ არყის გამოხდას საქართველოში ადრეული საუკუნეებიდან მიმართავდნენ (რასაც ხელს უწყობდა მდიდარი, ფართო ასორტიმენტის ნედლეული მარცვლეული). არაყს (ძველქართულად - „აყ“) საქართველოში უპირატესად ტკბილი ნაყენებისა და მცენარეული, სამკურნალო ექსტრაქტების დასამზადებლად იყენებდნენ, მოსახლეობა კი, ყოველდღიურ ყოფაში, ტრადიციისამებრ, ძირითადად, ყურძნის ღვინოს მოიხმარდა, რასაც მევენახეობისა და მეღვინეობის წარმოშობისა და განვითარების 7 ათასწლოვანი ტრადიციები განაპირობებდა. სწორედ ამგვარმა ისტორიულმა ფონმა შექმნა ნოიერი საფუძველი მაღალხარისხოვანი მაგარი სასმელების (არყის, კონიაკის, ლიქიორის, აბსენტის, რომისა და სხვათა) წარმოების სწრაფი ჩამოყალიბებისა XIX საუკუნის საქართველოში, რასაც ბიძგი მისცა რუსეთის დამკვიდრებამ კავკასიაში.

დღეს ვთავაზობთ საქართველოში (და ზოგადად კავკასიაში) მაგარი სასმელების წარმოების

უწყებების - გიორგი ბოლქვაძის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც შეიცავს ზოგიერთ დღემდე გამოუქვეყნებელ მონაცემს.

გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძე (1835-1920) ბავსელ (ოზურგეთის რაიონი) აზნაურთა შთამომავალი იყო. დიდად ვანსწავლული პიროვნება ფლობდა რამდენიმე ენას.

1853 წელს საბერძნეთში (ათენში) სამიწათმოქმედო აკადემიის მსმენელი გახდა, შემდეგ კი სტამბულში ეუფლებოდა „არყის ხდის, გასუფთავების, შეზავების“ ხელოვნებას (ჭიჭინაძე, ტფ. 1884 წ.).

საქართველოში დაბრუნებისთანავე გიორგი ბოლქვაძე იწყებს მაგარი სასმელების წარმოების ორგანიზებას და 1865 წლიდან უკვე მუშაობს მისი ქუთაისის არყის ქარხანა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქარხანა იმხანად ერთადერთი იყო კავკასიაში: „Водочных заводов нет ни в Тифлисской, Ереванской, Бакинской, Терской, Елизаветопольской... Губернии, только в Кутаиси“ („Кавказский календарь 1875 г.).

გ. ბოლქვაძის წარმოება ამზადებდა და სარეალიზაციოდ უშვებდა სხვადასხვა ტიპის მაგარ სასმელს, რაზედაც მეტყველებს 1879 წლით დათარიღებული, ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი საქსპორტო-სარეკლამო ფურცელი: „ბოლქვაძისა და მისი კომპანიონის ქარხანა, რომელიც ქუთაისში იმყოფება, გასაყიდად უშვებს კონიაკს, რომს, ლიქიორებსა და აბსენტს“.

1884 წლის სტატისტიკური მონაცემებით, კავკასიაში მოქმედი 259 ქარხნიდან სრულყოფილი იყო მხოლოდ გიორგი ბოლქვაძის ქუთაისის ლიქიო-არყის ქარხანა („Отчет Кутаисского Губернатора начальнику акцизных сборов Закавказья“).

გიორგი ბოლქვაძის მრავალრიცხოვანი ასორტიმენტიდან დღეისათვის დადგენილია: 9 სახეობის სპირტი, ოთხგვარი კონიაკი, სამი რთული ლიქიორი, რვა სხვადასხვაგვარი ლიქიორი, ორი სახის რომი, რთული სამეფო არაყი; არის

უცნობი ნაწარმოებებიც, რომელთაც საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე 2 ჯილდო აქვთ მიღებული.

სადღესიოდ გიორგი ბოლქვაძის კონიაკების ორი ტიპია ცნობილი: „ნატურალური“ და „ხელოვნური“. ნატურალური წარმოება დაიწყო 1865 წელს, ხელოვნურისა – 1873 წელს. ამავე თარიღებთანაა დაკავშირებული გიორგი ბოლქვაძის კომპანიის სავაჭრო ნიშნებიც.

ქართული კონიაკის პირველ და დიდ გამარჯვებად ითვლება ვ. ბოლქვაძის „აკაკასის ნატურალური კონიაკის“ მიერ 1878 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მოპოვებული დიდი ოქროს მედალი.

1876-1890 წლებში გიორგი ბოლქვაძის კონიაკებს მონაწილეობა მიიღეს 30-ზე მეტი მსოფლიო, სამრეწველო გამოფენაში (აშშ, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, აფრიკა, რუსეთი და სხვ.). კონიაკებსა და მასხურა 34 ჯილდო, მათ შორის: „აკაკასის ნატურალურმა კონიაკმა“ – 5 ორდენი, 18 მედალი და ერთი „უმადლეხი ჯილდო“, „ხელოვნურმა კონიაკმა კი – ერთი „უმადლეხი ჯილდო“ და 8 მედალი.

მსოფლიო და საერთაშორისო გამოფენებზე გიორგი ბოლქვაძის სასმელებმა 1865-1900 წლებში მოიპოვა 100-ზე მეტი ჯილდო, აქედან 76 მედალია, მათ შორის 49 – ოქროსი და ვერცხლისა მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნისათვის გიორგი ბოლქვაძეს ძირითადად მიღებული აქვს 17 სხვადასხვა ქვეყნის ჯილდოები, მათ შორის ფრანგული: „...“ და „კაზის რესტავრაციისათვის“, ორდენი-ნიშნები პარიზის ნაციონალური აკადემიის და ბრიუსელის მსოფლიო მეცნიერებისა და ინდუსტრიული ხელოვნების. 1890 წელს გაზეთი „ივერია“ იტყობინება: „ბ-ნი ვ. ბოლქვაძე წვეურად აურჩევდათ საფრანგეთის სამიწათმოქმედო აკადემიას და ამ წვერობის შესაფერისი დიპლომაც მთელი პარიზიდან“.

გიორგი ბოლქვაძე გახლდათ ბრიუსელის „მუდმივი გამოფენის“ მონაწილე დაჯილდოებული იყო სრულიად ევროპის სამეცნიერო საზოგადოების მედლით.

სამწესიაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით ორი დიდი თანამედროვე მოღვაწის – გიორგი ბოლქვაძისა და დავით სარაჯიშვილის შესახადო სენსიბიბიისა და უროთეროობის შესახებ. მუშატიანი დუშს ამის თაობაზე, გიორგი ბოლქვა-

ძის შვილისშვილის შვილი ქალბატონი ნინო ბოლქვაძე გამოგვეცნოს: ერთხელ გიორგისა და მის ვაჟს – მალაქას (თურისტა და ფრად განსწავლულ პარიზებას) სერიოზული კამათი მოხლდათ. მალაქას შეუთავაზებია მამისათვის – წარმოების გაფართოებისა და მოგების გაზრდის მიზნით მიებათ დავით სარაჯიშვილისათვის და მასაც დაემზადებინა ახალგზარდა (ერთწლიანი და ორწლიანი) კონიაკები. მაგრამ გიორგის კატეგორიული უარი განუცხადებია. როგორც ჩანს, გიორგის არ ეთმობოდა 23 წლის მანძილზე მის მიერვე შექმნილი, დავარცხლებული კონიაკის მომკვამ ტექნოლოგიები, რომლებმაც მის აქტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

„ჩემი ბებია – ეკატერინე რამაშვილი გვიყვებოდა, – ვამბოვებოდა ქ-ნი თინათინ ბოლქვაძე, – რომ გიორგის ქუთაისში, საცხოვრებელ სახლში მოწყობილი ჰქონდა კვლევითი ლაბორატორია, სადაც მხოლოდ თვითონ მუშაობდა: აშაღებდა ესენციებს სხვადასხვა მცენარეიდან, ადგენდა რეცეპტებს სასმელებისათვის. ნაყენები მოთავსებული ჰქონდა პატარ-პატარა გრაფინებში. ხშირად მოიხმობდა ხოლმე, კატუშა, აბა, მოდი, გასინჯე, მოგწონს თუ არა. მე მამს ვერ ვერკვეოდი ამ როულ ნაყენებში, მაგრამ ძალიან მომწონდა“.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ბოლქვაძეს საცხოვრებელ სახლთან მიმდებარედ ჰქონდა დიდი ბაღი, სადაც გაშენებული იყო სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ვეაგლი, ხეხილი და ვაზი, ჰყავდა მებაღეები. აქ ატარებდნენ სლექტიურ მუშაობას, გამოკვავდათ მაღალი ღირსებების მქონე ახალი ჯიშის ვეაგლები, ხეხილი და ვაზი. ამის ნაყოფი დასტურია გიორგი ბოლქვაძის მიერ მიღებული ფრანგული ჯილდო – „ვაზის რესტავრაციისათვის“. თავის დროზე იმდენად მოულოდნელი იყო სასოგადოებისათვის გიორგი ბოლქვაძის, როგორც მაგარი სასმელების წარმოების ინიციატორის წარმოჩენა, რომ წარმოიქმნა ვარკვეული დაპირისპირება სპეციალისტთა წრეში და ერთგვარი ნიპილობა ამ დიდი მრეწველისა და სპეციალისტის დამსახურების მიმართ. ამ აღმოჩენამ სომ მთელი 23 წლით გადასწავა მაგარი სასმელების, მათ შორის კონიაკის, წარმოების დაწყების თარიღის გამოც (ყოველად უსაფუძვლოდ!) ერთმანეთს დაუბრისპირეს ორი ბუმბერაზი მრეწველი და



საზოგადო მოღვაწე - გიორგი ბოლქვაძე და დავით სარაჯიშვილი. მაგრამ ამბობენ სამრეწველო წარმოება არ ჰქონდაო გიორგი ბოლქვაძეს დროა. წერტილი დაუსვას ამგვარ დილუტანტიზმს. რამეთუ მსგავსი აზრების ერთმანეთზე თავსმოსხვევა უპირველეს ყოვლისა, ჩვენზე ისტორიას აყენებს ჩრდილს, ჩვენ კი ჩვენზე წინაპრების უღირს შთამომავლებად გვაჩვენს.


ვეიქრობ, დღეს წარმოდგენილმა მასალამ საბოლოოდ უნდა გაეანტოს უსაფუძელო და სამარცხვინო მითქმა-მოთქმის ყოველგვარი საფუძველი. ამასთანავე, აუცილებელია მოვიგონოთ ქალბატონი მარი შოშიტაიშვილი, რომელსაც დრომ მართლაც არგუნა წილად - გაეციოცხლებინა დიდი მამულიშვილის - გიორგი ბოლქვაძის სახელი და დასახურება, ამ გზით კი აღედგინა ისტორიული სამართლიანობა - მიეჩინა ამ დიდი მოღვაწისათვის კუთვნილი ავდილი ერის ისტორიაში...

ძნელი აღმოჩნდა ბედუკუდმართობის გამო თითქმის დაკარგული ისტორიის ვაცოცხლება. აღიზანოვ-აგარკის ექსპედიციის მიერ ქუთაისის გუბერნიის არქივის დაწვამ, ნაწილობრივ კი ჩვენმა დაუდევრობამ და უგულისყურობამ,

ჩვენზე ისტორიის ცოცხალი ფურცლები ფერულად აქცია...

გიორგი ბოლქვაძის შთამომავალი - შვილიშვილის შვილი - ირაკლი ბოლქვაძე გადმოგვცემს: მამა მივეუბოდა, რომ ბავშობაში გიორგი ბოლქვაძის ორდენებითა და მედლებით ვთამაშობდით, ისინი ერთ დიდ სკივრში ინახებოდა. მაგრამ 1937 წელს, ბუბიას რეპრესიებისა შექმნიდა და ორდენებითა და მედლებით სავსე სკივრი გადააგდო. ამ შემზარავი ფაქტის კომენტარებსაც კი ძნელია; ღვთის წყალობასა და ქალბატონ მარი შოშიტაიშვილის თავდადებებს უნდა უმაღლოდეს ჩვენი ქვეყანა სასწაულად გადარჩენილი მემკვიდრეობის მოძიებისათვის, ვინ იცის, რამდენი რამ გაჰყვა ქუთაისის გუბერნიის აღმოდგეულ ფურცლებსა და წითელი ტერორის შიშით საკუთარი ხელითვე განადგურებულ განძეულს.

წელს შესრულდა 140 წელი გიორგი ბოლქვაძის მიერ მაგარი სასმელების წარმოების დაწყების დღიდან. ეს თარიღი უტოლდება ამავე დროს საქართველოსა და ზოგადად, კავკასიაში მაგარი სასმელების სამრეწველო წარმოების დაწყების თარიღს.



„შენ ხარ მინანი“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ახლადშემგნილი სასწაულმოქმედი ხატი

დეკანოზ არჩილ შინდიაშვილი
სა. თაბატაშვილის კაბრისა და პავლეს მარტირის წინაშეგდგარა



1994 წ. ნოემბრის თვეში გიორგიობის დღე-სასწაულისთვის უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით გავემჯავრეთ ქართველთა უძველეს სამშობლოში ანატოლიის კაბადოკიაში, იჭაურ წმინდა სავანეთა მოსალოცად, ნანახმა გაგონილს გადააჭარბა: კილომეტრზე გადაჭიმული ძველი წვლთაღრიცხვის ვულკანური, აწ გაქავეებული ამონოფრქვევები, მოგვიანებით მათში გამოქვაბულ-გამოკვეთილი ეკლესია-მონასტრებითა და კინოვია-ლაერებით. სამშობლო დედისა ჩვენისა ნინოსა, ძღვეპოხისლისა გიორგისა, ბასილი დიდისა, გრიგოლ ღვთისმეტყველისა, გრიგოლ ნოსელისა...

უდიდესი, ამჟამად უმოქმედო, სამონასტრო კომპლექსები გიორგიობის ხეობაშია განლაგებული:

ვეელაზე უკეთესად შემონახული და მოცულობითაც ვრცელი ტოკალის ეკლესიაა. აქ აღევლინა ქართულ ენაზე ჩვენი განმანათლებლის სახელწოდებულ საეცრებელი პარაკლისი. აქ მიგვიჯაჭვა ვველა კანკელის მცირე ნიშში მოხატულმა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მადლობისღმა ფრესკამ: დედაშვილობის უწმინდესი და უფაქიხესი გრძნობით ჩაუკრავს გულში ძე თვისი მარადქალწულს, რომელიც ასევე სიყვარულით შემოპხვევია დედის ფეხსა და პირი-სახეს. წმ. მარიამის თვალები შორს, თითქოს დროისა და სივრცის ძღმა იმზირებიან – ამჟამად მოძალეში...

ცალკე გავიხმე ჩვენი ტაძრის ხატმწერა, რომელიც შეალიბლებთან ერთად წამეყვანა მოსალოცად, ვიხოვე და ვაკურთხე დრძად აღბეჭკდა მეხსიერებაში, როგორც მხატვარსა და მორწმუნეს, ამ ფრესკის მშვენიერება და მადლობისღება და როდესაც დაებუნდებოდი ასეთივე ხატი შექმნა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიისთვის. ჩამოიტანეთ ამავე ფრესკის ფრადი რეპროდუქციაც. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი ტაძრის მოხატვა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და მხატვარიც, ბუნებრივია, ამით იყო დაკავებული, ხატის შექმნა ვიწინებოდა, თუცა გულსა და გონებაში სმარად მაგონდებოდა აღთქული სურვილი. იწურებოდა 1995 წელი. დეკემბრის თვეში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მივეყვანის საუფლო დღესასწაულზე წირვა დავაყენეთ და ქადაგების შემდგომ ქალწულ მარიამის პატივად დაუკლამელს (აკათისტოს) ეკვლიობით გუნდსა და მრევლთან ერთად დასასრულ შეალიბები ვაკურთხე, დებეტრე-ამიანეს იამბიკო „შენ ხარ ვენახი“ ეგვალბათ. ვალოზისას ერთ აუწერული სურვილი დამეუფლა (ძველი მამები იტყვებენ გულისხმა მოძვეცა) რაც შეიძლება მალე შექმნილიყო ღვთის დედის სრულიად ახალი სახე და ხატი, რომლის ამოსავალიც ჩემს წარმოდგენაში იყო კაბადოკიაში ნანახი ფრესკა და ამ იამბიკოს სიმბოლოები: „ენახი“, „მონახი“ აგრეთვე მწ-



ნოგრაფიიდან „ტკვანი ვენახისა“. ანუ გონიერი აზრით მარადქალწულისგან სამების მეორე პირის განკაცების საიდუმლოება, აქვე მაგონდებოდა წმ. ნინოს ჯვარი ვაზისა...

მიკროზონებში სითბოს ჯამის ალბათობის გამოთვლას ღვინომასალის წარმოების პერსპექტიული მიმართულების დაგეგმვის დასახლებულბად მეტად დიდი ბიოკლიმატური მნიშვნელობა აქვს. ნომოგრამა ნახ. 2-ზე ჩანს, რომ ზონებში, სადაც სითბოს საშუალო რაოდენობა 4000⁰-ს უდრის, საუკეთესო ზარისხის პროდუქცია უზრუნველყოფილია 50%-ით, ე.ი. 10 წელიწადში ხუთჯერ; 3900⁰-ის შემთხვევაში -35%-ით, ე.ი. 10 წელიწადში 3-4-ჯერ; 3800⁰-ის დროს 20%-ით, ე.ი. 10 წელიწადში ორჯერ; 3700⁰-ის დროს კი 4000⁰ სითბო უქმნიშენლო ალბათობით (5%) მყარდება. ეს უკანასკნელი შესაბამეა 600 მ. სიმაღლით ზონას, რომლის ზევით მდებარე ზონებში, ცალკეული თბილი მიკროზონების გარდა, გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან (საფურავი, რქაწითელი, მწვანე კახური, კაპრენე) საუკეთესო ზარისხის პროდუქციას ვერ მივიღებთ.

ზონებში, სადაც სითბოს საშუალო რაოდენობა 4100-4200⁰-ია, ტემპერატურათა ჯამთან

ერთად სხვა ეკოლოგიური ფაქტორებიც მეტად ხელსაყრელია კახური ტიპის მშრალი და საყოველთაოდ აღიარებული საფერავის ორიგინალური ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალების საწარმოებლად. ეს ზონა შეესაბამება ზღვის დონიდან 350 მეტრზე დაბლა მდებარე ფართობებს.

ამრიგად, შიგნით კახეთში საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოების წარმოება შესაძლებელია ზღვის დონიდან 350-დან 600 მ-მდე სიმაღლის საზღვრებში მდებარე ვენახის ფართობებიდან. ანალოგიური გაანგარიშებები შეუქმდია ჩავატარეთ კარგი ხარისხის ღვინომასალების საწარმოო ზონების გამოსავლენად.

შიგნით კახეთის განსაზღვრულ ზონებში და მიკროზონებში დამზადებული ორიგინალური ხარისხიანი ღვინოები საერთაშორისო ბაზარზე წამყვან ადგილს იჭერს. აქ მოწეული ნედლეულიდან დამზადებულ ღვინოებს მრავალჯერ აქვს მიღებული საუკეთესო შეფასება. საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი (საფერავი, რქაწითელი, კახური მწვანე) და ინტროდუცირებული (კაბერნე) ჯიშებიდან პრაქტიკულად წარმოებულ ღვინოებს ესპირიტობა საუქმელიანი რეკლამა.

ლიტერატურა:

1. Беридзе Г.И. – Вина Грузии. Изд-во «Сабчота Сакарთველო»; Тбилиси 1962.
2. Гогол-Яновский Г.И. – Руководство по виноградарству. «Госиздат». М.Л.; 1982
3. Давитая Ф.Ф. Исследование климатов винограда в СССР и обоснование их практического использования. «Гидрометеиздат» 1952.
4. Давитая Ф.Ф. Прогноз обеспеченности теплом и некоторые проблемы сезонного развития природы. «Гидрометеиздат». М. 1964.
5. Давитая Ф.Ф. Основные принципы районирования культуры винограда. Физиология винограда и основы его возделывания. т.1, София, 1981. стр.27-52.
6. Егоров А.А. Вопросы виноделия. «Пищепромиздат» М. 1955, стр.52-61.
7. Mareskalchi A. – Esperienze ed osservazioni Vitale ed enologiche casale – Manfredato, 1926.
8. Негруль А.М. Виноградарство, М.,

«Сельхозгиз», 1952.

9. saqarTvelos ampelografia, „mcsnierebaTa akademia“, Tbilisi 1960.

10. Справочник по климату СССР. Серия 3, часть 1-6, вып.14, Грузинская ССР, Л. Гидрометеиздат, 1990.

11. Табидзе Д.И. Продвижение промышленной культуры винограда в новые горные районы Грузинской ССР. Изд-во Акад. наук СССР, М., 1957.

12. Турманидзе Т.И. Климат и урожай винограда. «Гидрометеиздат», Л, 1981, стр.101-139.

13. TurmaniZe T. vasis ekologia. Tbilisi, 2003, gv.335-350.

14. Фрегони М. Влияние различных типов почвы и виноградную лозу и качество вина. т.1, Физиология винограда и основы его возделывания. Болгарская акад.наук, София, 1981, ст.53-65.

ВЛИЯНИЕ АГРОЭКОЛОГИЧЕСКИХ УСЛОВИЙ ШИГА КАХЕТИ НА КАЧЕСТВО СТОЛОВЫХ ВИН

РЕЗЮМЕ

Т.ГЛОТИ, В.ГОГИТИДЕ,
И.ЧХАРТИШВИЛИ

Кахетия является одно из всдуших мест в Грузии для развития виноградарства-виноделия. Территория региона характеризуется специфическими почвенно-климатическим условиями способствующими получения разных типов вин.


Влияние почв и сортов на качество вина в течении продолжительного времени стабильное. Конкретно, в почвенных условиях того или иного сорта, природные изменения полученной продукции, в основном определяется в зависимости отгода, влияющсм

воздействия комплекса метеорологических факторов.

Наилучшее качество столовых виноматериалов . производственная база представляет зоны, где сумма активных температур ($\Sigma t \geq 10^{\circ}$) в среднем составляет 4000^o. Для получения такого вида продукции в течении 2,5-3,0 месяца необходимо средне-суточная температура воздуха выше 20^o и сумма активного этого тепла - 2000^o, а во время созревания винограда (15,VIII-30,IX) должна накопиться - 750^o.

Учитывая указанную производственную базу получения высококачественных столовых вин в Шита Кахети, представляет имеющиеся площади в пределах 350-600 м высоты над уровнем моря.

Для обоснования планирования производства столовых и других типов виноматериалов по микрорайонам в статье даны вероятности сумм температур в процентах (см. на монограмму 2) в разных высотах.



უბისი. საკურთხეველი.
სისხლით ზიარება. XIV ს.

Ubisi mural. The "Communion of the apostles with the bread". XIV C.



ბუნებრივად ნახევრადტკბილი დვინოვასალმების საწარმოო წონები შიგა კასეთში (კლიმატური პირობების ემინერული შესწავლის შედეგები)

პაპა შიშხიძე, ნორა ჩხარტიშვილი, თინათინა ლორთქიფანიძე

შეიქმნა კახეთის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში კარგად ვითარდება ადგილობრივი და უცხოური ვაზის ჯიშები. მათგან მიკროზონების მხედვით შჩადლება სხვადასხვა ტიპის მაღალი ღირსების ღვინოები. ადგილობრივი და სხვა ქვეყნების მომხმარებლებში დიდი მოწონებით სარგებლობს კახური საფერავისაგან დამზადებული ორიგინალური ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოები.

ნიადაგი ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლებს განსაზღვრული ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ნიადაგი არა მარტო ამარაგებს ვაზს ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებებით, არამედ დიდ გავლენას ახდენს მასზე მოწეული ყურძნისაგან დამზადებელი ღვინის არომატულ და გემურ თვისებებზე.

კონკრეტულ ზონაში ნიადაგის გავლენა ვაზის ჯიშების პროდუქციის ხარისხზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვარკვეულად სტაბილურია. მეტეოროლოგიური ფაქტორები კი - წლების მიხედვით მკვეთრად ცვალებადობს; ამინდის პირობების ცვლილებების შესაბამისად ყურძნის ხარისხი წლების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია.

მსოფლიოში აღიარებული აგროკლიმატოლოგი თ. დავითაას გამოკვლევებით კახეთში ძალიან კარგი ხარისხის ღვინოები მიიღება იმ წლებში, როცა განსაზღვრულ მიკროზონებში პერის აქტურ ტემპერატურათა ჯამი ($\Sigma > 100^{\circ}C$) $4000^{\circ}(3800-4200^{\circ})$ ვრცელდება, ყველაზე თბილი თვის პერის საშუალო ტემპერატურა $24^{\circ}C$ ($22-26^{\circ}$) და სექტემბერში საშუალოდ 19° აღმატება, ხოლო ატმოსფერული ნალექების ჯამი სექტემბრის თვეში საშუალოდ 50 მმ უდრის.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ტექნოლოგიურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ საყრავი ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინომასალას (ყურძნის 2,3-2,5 % შაქრიანობითა და 5-7გ/დმ³ საერთო მჟავიანობით)

შიგა კახეთში იძლევა მიკროზონებში, სადაც ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 4000° აღმატება, ყველაზე თბილ თვეებში (ივლისი-აგვისტო) პერის საშუალო დღეღამური ტემპერატურა 80-100 დღის განმავლობაში 20° მაღალია, ხოლო ტემპერატურათა ჯამი 2000° აღწევს, ყველაზე თბილ თვეებში 30-40 და მეტი დღის განმავლობაში დღეღამური საშუალო ტემპერატურა $23^{\circ}C$ აჭარბებს; საუკვეტაციო პერიოდში 450-600 მმ ატმოსფერული ნალექი მოდის, ხოლო სიმწიფის პერიოდში ($15.VIII-15.X$) ნალექების ზომური განაწილების შემთხვევაში 100-150 მმ, მოსავლის აღებაზე ერთი თვის განმავლობაში კი არა უმეტეს 50-80 მმ მოდის.

განსაკუთრებულად ხარისხიანი ღვინომასალის წარმოებით, როგორც ცნობილია შიგა კახეთში გამოირჩევა ვაღმისარში - ყვარლის რაიონის სოფ. ქინძარაულის მიკროზონა, სადაც მდ. დურუჯის გამოხიდვის კონუსზე ($10X6,5$ კმ ფართობი) ფიქლიანი მოშავო ფერის ნიადაგის ზედაპირი დამატებითი სითბოს წარმოიქმნედა.

აღნიშნული ტიპის ნიადაგები დღისით მზის სხივების მოქმედებით მეტად ხურდება, რამით კი ძალეულ ეწერებას თანდათან ასხივებს.

ვახუცი საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში ვაზის ყვავილობისა და ყურძნის მოწიფების პერიოდში, ჩვენს მიერ ჩატარებული ოთხწლიანი ეპიზოდური დაკვირვებით ქინძარაულის შავი ფიჭულების ნაშალ მასალაზე გაყვრელებული მყოფილილი ვენახის აბოლო 18-20% შეადგენს. ეს მაჩვენებელი სხვა ტყის ალუვიურ არაკარბონატულ ნიადაგებთან შედარებით (25%) მნიშვნელოვნად ნაკლებია.

მოშავო ფერის ნიადაგის ზედაპირი დღის განმავლობაში, განსაკორებით შუა დღის საათებში $3-5^{\circ}$ -ით მეტად ხურდება. მზის „ამოსვლის“ წინ ნიადაგის ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა,



თითქმის უთანაბრდება, ან 1-1,5⁰-ით ნაკლებია ტყის ალუვიური ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურაზე.

მიშპირი ფერის ნიადაგის 5-60 სმ სიღრმისა და მიწისპირა ჰაერის 25-200 სმ სიმაღლის ფენაში საშუალო დღეღამური ტემპერატურა 1,5⁰-ით აღემატება ალუვიური უკარბონატი ნიადაგის სიღრმისა და მიწისპირა ჰაერის ფენის ტემპერატურას; რაც პირველი მახლოებით სითბოს 200⁰-ით მეტობას განაპირობებს. ეს კი ქიმიმართულში მაღალნარინსხივანი პროდუქციის წარმოების შედეგად უფრო დამკვირვებელს ხდის.

მოკლედ, საფერავის ბუნებრივად ნახევრადტკბილი პროდუქციის მწარმოებელ მიკროუბნებში დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს სითბოთი მეტად უზრუნველყოფილი მიკროზონების გამოვლინებას და ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოვლენების აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას.

ჩვეულებრივ ცნობილია, რომ შშის სხივური ენერგიით ყველაზე მეტად ხურდება სამხრეთი, ხოლო ნაკლებად ჩრდილო ფერდობები. შუა კახეთში ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე - კაკასიონის ქედის სამხრეთულ და ცივგომბორის ქედის ჩრდილო დაქანებებზე ჰაერის ტემპერატურული პირობები „უჩვეულოდ“ თითქმის გათანაბრებულია. ზოგ მიკროუბნებში, განსაკუთრებით მდ. ალაზნის ზემო წელში, ცივგომბორის ქედის ჩრდილო დაქანებები (ყვითლი, 700მ) შედრავითი თბილია, ვიდრე კაკასიონის ქედის სამხრეთული ფერდობები (ჯეოვლი, 663 მ) გადამხარისა და წინამხარის ტემპერატურული პირობების ამგვარი რეგულაცია განპირობებულია მაგალითიანი კაკასიონიდან ცივი ჰაერის მასების გადმონაცვლებით და ხეობის დაბალ ნაწილში გახურებული ჰაერის მასების აღმასვლით. ასეთ პროცესს ცივგომბორის ჩრდილო ფერდობებზე, სავეგეტაციო პირობებში ადგილი არ აქვს.

შუა კახეთის გადამხარში და წინამხარში ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის საწარმოო ბაზად რეკომენდებულია ზღვის დონიდან 250-დან 500 მეტრ სიმაღლეზე არსებული ფართობები. აღნიშნულ არეალში სიმაღლის ყოველი 50 მ-ის მატებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 80-100⁰-ით, ხოლო კონდიციური ღვინომასალის საწარმოო წლები 15%-ით მცირდება. აღნიშნულ არეალში კონდიციური ღვინომასალის საწარმოო წლები 300-დან 400 მეტრამდე 60-30%-ით, ე.ი. 10 წელიწადში 6-3-ჯერ, 400-დან 450 მ-მდე 30-15%-ით, ე.ი. 10 წელიწადში და-


ხოლებით 3-2-ჯერ, 500 მ სიმაღლეზე მდებარე ნაკვეთებიდან ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოსათვის პროდუქციას მივიღებთ მხოლოდ 5%-ით ე.ი. 100 წელიწადში 5-ჯერ, დანარჩენ წლებში სუფერის ნატურალურ სამარკო ღვინომასალას მივიღებთ.

მოკლეული ვეპტეს შუა კახეთში ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის საწარმოო სქემატური რუკა, რუკას თან ერთვის ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით სითბოს რაოდენობის პროცენტული აღბათობის გრაფიკული გამოსახულება, რუკაზე დატანილი ვეპტეს რეგრესიით განტოლებები, რომელთა გამოყენებით შეგვიძლია გამოეთვალეთ სიმაღლეების მიხედვით სითბოს ჯამი.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლს დაქვემდებარებული (ადკ) ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის საწარმოო მიკროზონებზე გადამხარში შეგვიძლია გამოვყოთ მდ. ლოპოტიდან-ჩელთამდე მდებარე სოფლები: ნაგარაული, შაქინანი, გრემი, ენისელი, საბუე; მდ. ჩელთის აღმოსავლეთი მდებარე სოფლების: შილდა, ქინძმარაული, სანაგარდო და ქ. ყვარლის საგარეუბნო ზონა; მდ. ბურსის აღმოსავლეთით მდებარე სოფლები: კუჭატანი, ჭიკაანი, გავახი; მდ. ავანისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლები: ახალსოფელი, მოისობრი და ღაგო-ღეხის რაიონის სოფლები: ლელიანი, ნინოგორა, აფენი, ვარდისუბანი, თამარანი და სხვ. 250-დან 450 მ სიმაღლეზე მდებარე მიკროზონები, სადაც სითბოს ჯამი საშუალოდ 4100⁰, ყველაზე თბილი თვეების საშუალო ტემპერატურა 25,5-23,5⁰, ყურძნის მოკრეფამდე თენიანების განმავლობაში ნალექები 100 მმ-მდე.

წინუბანში ამ მხრივ აღსანიშნავია თელავის რაიონის სოფლები: ყარაჯალა, კულეულა და ა.შ. წინანდალი, ვანთა, აკურა, გურჯაანის რაიონის სოფლები: შრომა, ვაზისუბანი, შაშანი, ბუკუ-ზანი, ველიციხე, ახაშენი და ა.შ. ბაგურციხე, კარდანახი; სიღნაღის რაიონის სოფლები: ანაკა, ვაქარი, წნორი, ტბიანი, ხირსა, ალაზანი; დუდიფლისწყაროს რაიონის სოფლები: სამთაწყარო, ფროსმანი, საბათლი, საცაც 250 მ-დან 500 მ-მდე არსებულ ფართობებზე მივიღებთ ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოებისათვის კონდიციურ ღვინომასალას.

კონდიციური ღვინომასალის მისაღებად ყურძნის კრეფა სიმაღლით ზონების მიხედვით სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან - ოქტომბრის შუა რიცხვებამდე ინაცვლება.



სიახლე და ტრადიციები

თეიმურაზ ღვინტი, მარიამ ხოსიტაშვილი, მარიამ ძიტიანაშვილი

ღვინო წარმოადგენს რთულ, მრავალკომპონენტან სისტემას; მეღვინე-პრაქტიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ნივთიერებათა დაგროვებას, რომლებიც განაპირობებენ ღვინის ბუკეტსა და არომატს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ღვინის ხარისხს. ეს ნივთიერებები წარმოიქმნება როგორც ალკოჰოლური დუდილის პროცესში საფუერების მოქმედებით ყურძნის ეთერზეთებიდან, ასევე ღვინომასალის მომწიფებისა და დამეყლების პერიოდში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესებით.

ცნობილია, რომ არომატულ ნივთიერებათა წარმოქმნასა და თანაფარდობაზე დიდ გავლენას ახდენს ტბილისა და თანამდებობა და ისეთი ფაქტორები, როგორცაა ალკოჰოლური დუდილის პროცესში გამოყენებული საფუერების ფიზიოლოგიური თავისებურებები, რაც გამოისახება თვით საფუერების გამრავლების ინტენსიობასა და დუდილის ენერჯიამში.

მაღალხარისხიანი მეღვინეობის ყველა რაიონი ღვინის წარმოებაში იყენებდა საფუერების ადგილობრივ შტამებს. მრავალი ცდით დამტკიცებული იყო, რომ ალკოჰოლური დუდილისათვის საფუერის ადგილობრივი შტამი უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე შემოტანილი. საფუერის კულტურა კარგ შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც ის გამოყოფილია ღვინის წარმოების ადგილებში ცალკეული ვაზის ჯიშისათვის. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებდა ფრანგი მეცნიერი ყვანტრი, რომელიც ამბობდა „როგორც ბოქლომს მხოლოდ ისეთი გასაღები გააღებს, რომელიც მისთვის არის გაკეთებული და მას კარგად უდგება, ისე საფუერის წმინდა კულტურის ხმარებით, მხოლოდ, მაშინ მივიღებთ სასურველ შედეგს, როდესაც ამა თუ იმ ყურძნის ჯიშის წვეწვანს შესაფერ საფუერს ავირჩევთ“.

ამჟამად ღვინის მრეწველობაში იყენებენ უცხოური წარმოების მშრალ საფუერებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიღებული პროდუქციის გარანტირებულ ხარისხს, ადვილი მოსახმარი, ტრანსპორტაბელურია, და მათი

გამოყენებით მიღებული ასაღვარდა ღვინომასალები ხასიათდება სიხალისით და ხილის სურნელით.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა, შეგვეწყავლა სხვადასხვა უცხოური და ადგილობრივი საფუერის გავლენა ახალგაზრდა ღვინომასალების არომატწარმოქმნელ კომპონენტებზე, რაც საშუალებას მოგვცემს ვარეგულიროთ ღვინის ხარისხი საფუერის წმინდა კულტურების გამოყენებით.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო თელავის რაიონის სოფ. ართანის მიკროზონაში კავრცელეზული რქაწითელის, საფურვისა და კაბერნეს ვიშის ყურძენი. საცდელად აღებული გექონდა 12 ვარინტად ყურძნის ტბილი, რომლებიც დაღულებული იქნა სხვადასხვა საფუერებით: ადგილობრივი წარმოების (საქ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის) ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის განყოფილებიდან და უცხოური (შ.პ.ს., „შვიდის“ მეშვეობით მოპოვებული) საფუერები.

ალკოჰოლური დუდილის პერიოდში ისწავლებოდა საფუერების დუდილის ენერჯიასა და გამრავლების ინტენსიობა. დადგინდა, რომ ფერმენტ „Inozyme“-ით დამუშავებულმა ტბილმა, რომელსაც წინასწარ დამატებული ჰქონდა აზოტისა და ფოსფორის შემცველი დუდილის აქტივატორი, უცხოური წარმოების მშრალი საფური „IOC B 2000“-ის გამოყენებით ალკოჰოლური დუდილი დაიწყო ინტენსიურად, მინიმუმდღე დაიფინა ნარჩენი შაქრის რაოდენობა და მაქსიმალურად გაზარდა ტბილის გამოსავალი. მისგან განსხვავებით, ადგილობრივი საფურის წმინდა კულტურებმა ალკოჰოლური დუდილი დაიწვეს შეღარებით დაბალი ინტენსიობით, მაგრამ მძაფრი დუდილის პერიოდში მათი დუდილის ენერჯიები გაუთანაბრდა უცხოური წარმოების მშრალი საფურის დუდილის ენერჯიას, გამრავლების ინტენსიობას და ბოლოს ნარჩენი შაქრების რაოდენობაც გათანაბრდა.

ცნობილია, რომ სხვადასხვა სახეობისა

და რასის საფუერები ალკოჰოლური დუდილის დროს ასინოეზირებს განსხვავებული რაოდენობისა და ხარისხობრივი შემაღეწელობის არიმატულ კომპონენტებს.

მეღვინეობის მრავალი ქვეყანა აწარმოებს კიდევ მშრალ საფუერს სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუერის სელექციისათვის საჭიროა იმ საფუერების წმინდა კულტურების შერჩევა და გამრავლება, რომლებიც ალკოჰოლური დუდილისათვის სასარგებლოა.

გამოკვლეულია წარმოებაში გამოყენებული ზოგიერთი საფუერის წმინდა კულტურის გავლენა ღვინის არიმატის შემაღეწელ კომპონენტებზე და მის ხარისხზე. ტკბილის ალკოჰოლური დუდილი ჩატარდა სხვადასხვა საფუერის გამოყენებით.

ალკოჰოლური დუდილის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ ჩაუტარდა ღვინომასალას ქიმიური ანალიზი და ორგანოლეპტიკური შეფასება. „რქაწითელი 61“-მა და IOC B 2000-მა დუდილის აქტივატორთან ერთად დაწმენილი ტკბილის დუდილით ნარჩენი შაქრების რაოდენობა დაიფიქსა 0.4-0.2%-მდე. შესაბამისად სიბრტის გამოსავლიანობა იმავე ნიმუშებში 0.2-0.3 მოც. %-ით განსხვავდება სხვა ნიმუშებისაგან, რაც შეიძლება აისხნას იმით, რომ აღნიშნულ საფუერებში უფრო მთლიანად და რაციონალურად გამოიყენეს შაქარი. იგივეს ადასტურებს საღვეუსტაციო მონაცემები. შესაბამისად ნიმუშებში დაიძახურეს 8.0 და 7.8 ბალი შეფასება ე.ი. მშრალი საფუერი IOC B 2000-ით დადუღებული ახალგაზრდა ღვინომასალა 0.2 ბალით გარბობს „რქაწითელი 61“-ით გამოყენებულ ღვინომასალა, ანალოგიური დამოკიდებულება შეიმჩნეოდა სხვადასხვა საფუერით დადუღებულ წითელი ღვინომასალების ქიმიურ ანალიზებში და საღვეუსტაციო მონაცემებს შორის. უცხოური წარმოების მშრალი საფუერებით დადუღებულმა ახალგაზრდა ღვინომასალებმაც 0.2 ბალით მეტი შეფასება მიიღეს.

ღვინის ნიმუშებში შესწავლილი იყო არიმატული კომპონენტები გავრცელებული ქრომატოგრაფიის მეთოდით, ნიმუშების თვისობრივ შემაღეწელობას შორის განსხვავება არ დაფიქსირდა. განსხვავება იყო მარტო არიმატის განმსაზღვრელ კომპონენტების რაოდენობრივ თანა-

ფარდობაში.

განსხვავება დაფიქსირდა როგორც რასის ზეიების შემაღეწეული სპირტების ისე არიმატული სპირტების შემცველობებში.

დადგინდა რომ უმაღლესი სპირტების შემცველობა შედარებით ნაკლებია უცხოური საფუერით დადუღებულ ღვინომასალაში, რომელიც მიღებულია ფერმენტით დამუშავებული და დუდილის აქტივატორდამატებული ტკბილიდან. უმაღლესი სპირტების გარბი რაოდენობა იწვევს დამატობელ ზესოქმედებას და არის მოწამებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი სპირტების შემცველობის მიხედვით უკეთეს შედეგს იძლევა ის ღვინომასალა, რომლებიც დადუღებულია ტკბილი ფერმენტ „INOZYME“-ით დამუშავებული ტკბილისა და დუდილის წმინდა კულტურის „რქაწითელი 61“-ის გამოყენებით. მასში უმაღლესი ალკოჰოლების ჯამი შეადგენს 379.43 მგ/დმ³-ს. უმაღლესი სპირტების კიდევ უფრო დაბალი შემცველობით ხასითდება ფერმენტირებული და დუდილის აქტივატორდამატებული ტკბილის მშრალი საფუერის „IOC B 2000“- გამოყენებით მიღებული ღვინომასალა. მასში უმაღლესი სპირტების ჯამი შეადგენს 363.79 მგ/დმ³-ს. ანალოგიური დამოკიდებულება შეიმჩნევა საფერაჟისა და კაბერნეს ღვინომასალებშიც. საფუერის წმინდა კულტურების გამოყენებით აქაც მცირდება უმაღლესი სპირტების ჯამური შემცველობა სპონტანურთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ სპონტანურ საფუერებით დადუღებულ ღვინომასალებში (როგორც თეთრ, ისე წითელში) დაფიქსირდა მაღალი დუდილის ტემპერატურის მქონე რთული ეთერების (ეთილკარბოლატი, კექსილიზობუთირატი, და დიეთილსუქცინატი) დიდი რაოდენობა.

ყველა ნიმუშში, რომლებიც დადუღდა ფერმენტირებულ ტკბილში წმინდა კულტურების შეტანით და მშრალი საფუერისათვის დუდილის აქტივატორის დამატებით, შეიცავდა მცირე რაოდენობით ეთერების ჯამურ რაოდენობას, ვიდრე სხვა ნიმუშები. დასახლებული კულტურული საფუერებით ამცირებენ დუდილის დროს ეთერების წარმოქმნას. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ღვინომასალებში ეთერების დიდი რაოდენობით არსებობა უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე.



საფუერის წმინდა კულტურებით არქაწითე-ლი 61^ა და IOC B 2000-ის გამოყენებით მიღებული ღვინომასალების ურთიერთშედარებისას აღმოჩნდა, რომ ისოამილაკეტატი, ეთილკაპრო-ნატი, ეთილკაპრინატი, ფენილეთილკაპრინატი და ეთილკაპრილატი უფრო დიდი რაოდენობით იყო მოცემული შშრა-ლი საფუერით დაღუღებულ ღვინომასალაში. შესაძლებელია ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ უქანასტენი საფუერით მიღებული ახალ-გაზრდა ღვინომასალა გამოირჩეოდა ხილის სა-საძიწო სურნელით, ვიდრე „რქაწითელი 61^ა“-ით მიღებული ღვინომასალა.

ღვინის დამწიფების პერიოდში მთლიანად იცვლება მისი შემადგენლობა. ღვინის მომწიფება მიმდინარეობს აერობულ პირობებში (კასრებში დაყოვნებით). შესწავლიდა ხეგადასხვა საფუ-ერით მიღებული საცდელი ღვინომასალის არი-მატული კომპონენტები მათი დეარგების ერთი წლის შემდეგ. აღნიშნულ პერიოდში ერთდელი ღვინომასალები ოთხჯერ მოისხნა ლექქიდან აე-რაციით. ამ პერიოდში, ადგენით რეაქციებთან შედარებით, ძლიერდება ყანგებით რეაქციები საკმაოდ მწიშენელოვანია მაღალხარისხისიანი ღვინის ბუკეტში შემაჯალი ეთერების რაოდე-ნობების დადგენა. საუკეთესოდ მიჩნეულ ნიმუ-შებს, ალკოჰოლიური დუდილის დამთავრებიდან 3 თვის შემდეგ, დაძველების ერთი წლის თავზე ნაუტარდა ქიმიური, ქრომისსპექტრომეტრული ანალიზი და სადეგუსტაციო შეფასება.

ტერპენული სპირტების რაოდენობა ღვინის დაყოვნების პერიოდის ზრდასთან დაკავშირებით მცირდება. ეს პროცესი განსაკუთრებული ინ-ტენსიობით მიმდინარეობს წითელი ღვინოების წარმოებისას. თუმცა, წითელ ღვინოებში ტერ-პენული სპირტების რაოდენობები, როგორცაა: ლინალიოლი, ტერპენიოლი, თიურ ღვინოებთან შედარებით, მეტია, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი სრულიად გაქრა.

დაბველების ერთი წლის შემდეგ ღვინომა-სალებს ჩაუტარდა ქიმიური ანალიზი და დე-გუსტაცია. სადეგუსტაციო მონაცემებიდან ჩანს, რომ ადგილობრივი საფუერის წმინდა კულტუ-რის „რქაწითელი-61^ა“ მიღებული ღვინომასალა 0.3 ბალით აღემატებოდა უცხოური წარმოშო-ბის მშრალ საფუერით მიღებულ ღვინომასა-ლების სადეგუსტაციო მონაცემებს. იგივე ტენ-დენცია შეინიშნებოდა წითელი ღვინომასალების

შემთხვევაშიც.

ჩატარებული კვლევების შედეგების სა-ფუტყელზე შედგენილი და დამტკიცებულია მშრალი სუფრის ღვინოების წარმოების ტექ-ნოლოგიური რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც ორდინარული სუფრის ღვინოების წარმოები-სათვის შესაძლებელია უცხოური წარმოების მშრალი საფუერის, ხოლო მაღალხარისხისიანი ღვინოების წარმოებისათვის „რქაწითელი-61^ა“ (თეთრებისათვის) და „საფერავი“ (წითლებისა-თვის) – საფუერის წმინდა კულტურები.

ზემოთ მოტანილი მეცნიერული კვლევის შედეგები სერიოზული განსჯის საბაზს იძლე-ვა. ქართულმა სამყარომ შესაძლოა ვერ მიიღოს და ვერ გაითავისოს ყოველივე უცხოური, რა-ნაღამ მას სპეციფიკური ნიადაგურ-კლიმატური პირობები, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალი-ბებული და აპრობირებული სამურნეო-ტექნო-ლოგიური წეს-ჩვეულებები აქვს. ამისთანავე, ქართული მევენახეობა-მეღვინეობა დაფუძნეუ-ლია ორიგინალური თვისებების მქონე ენდემურ ვაზის ჯიშებზე და მას მკვეთრად გამოხატული თავისთავადი თვისებები აქვს.

ზემოთ მოტანილი მეცნიერული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმას, რომ ყოველი უცხოური სახალის მამარა, რა-ცანდ ეგეტატორი და შიმშიდეელი არ უნდა იყოს, გამოვიჩინოთ კრიტიკული მიდგომა, მათი ზედ-მიწვენიო მეცნიერული შესწავლა და მორგება ადგილობრივი პირობებისადმი.

იღია ჭავჭავაძე დიდ მწიშენლობას ანიჭებ-და ადგილობრივი მეურნის გამოყენებასა და პრაქტიკულ ცოდნას, რაც საუკუნეთა მანძილზე გროვებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემო-და დახვეწილი ტრადიციების სახით.

ქართველი მევენახე-მეღვინე ტრადიციის თანახმად არ ჩქარობდა ახალდაღუღებული ღვინის ნაჩქარევად მოხმარებასა და რეალიზა-ციას, ვინაღამ გამოზამთრებული ღვინომასალა გასაზფრების დადგომიდან იწყებდა სუნისა და გემოს ჩამოყალიბება-განვითარებას. ვავიზნებით ჩვენი საამაყო კახური ტიპის ღვინის დაყენე-ბის ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს დაღუღებული ღვინომასალის დაყოვნებას ჭაჭა-კლერტზე მომავალი წლის თებერვლ-მარტამდე (4-5 თვის განმავლობაში). ივანე ბაგრატიონ-მუ-ხრანელი, რომელმაც ჩინებული მეურნეობა და ღვინის სარდაფი მიაწყო მუხრანში, ვერაპული

ტიმის (ჭაჭა-კლერტის მონაწილეობის გარეშე) ღვინოებს აყენებდა, წყინრი და ჩუმი დუდილის პროცესს წელი ტემპით, თვეების განმავლობაში წარმართავდა, რათა ღვინო „გემოიან-სუნიაანი“ დაძვარეოდა.

გავისხენოთ საქვეწოდ ცნობილი სუფრის მშრალი სამარკო ღვინოების „წინანდლის, გურჯაანის და ნაფარულის“ - დაყენების ტექნოლოგიური წესები, რაც ითვალისწინებდა ღვინის დაფარვებას კასრებში სამი წლის განმავლობაში. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინანდლისათვის დამახასიათებელი სუნი და გემო დაფარვების შესამე წელს წარმოიქმნებოდა.

ქართული ვაზის ჯიშებისაგან დაყენებული ღვინოები ორიგინალური იერსახით გამოირჩევა, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საფურცის ის კულტურები, რომლებიც ამა თუ იმ ჯიშის ყურძნისა და მიკროზონისათვის არის გამოცდილი და აპრობირებული და ამა თუ იმ მიკროზონაში ვაზის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს.

ქართულმა ღვინომ რომ შეინარჩუნოს ორიგინალური იერსახე, გამორჩეული სუნი და გემო, დიდი სიფხიზლით უნდა მოვექიდით არომატურარომოქმნელი პროცესების დაჩქარებულად წარმართვას, რამეთუ დადასტურებულია, რომ უჯიზური საფურცებით დაღუღებულ ღვინოებში

ორი-სამი თვის გასვლის შემდეგ იკარგება დაჩქარებით წარმოქმნილი ბუკეტი და გემო, ღვინო უხალისო და უმინარსო ხდება.

იღია ჭავჭავაძე საერთოდ წინააღმდეგი იყო ყოველი უცხოურის განუხჯელად და შუუსწავლელად შემოტანის ჩვენში. იგი კარგად იცნობდა ევროპელ მეცნიერთა მიღწევებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში და საჭიროების შემთხვევაში კრიტიკულად იხილავდა კიდევ მათ.

ქართულ სინამდვილეში ევროპულ სახელეთა გაღმობანის საჭიროებაზე მსჯელობისას იღია ჭავჭავაძე ორ ასპექტში განიხილავდა ევროპელ მეცნიერთა საქმიანობას: 1) გადაჭრით უარყოფდა ევროპულთა ცდებს ყურძნის ღვინოში გარეშე ნივთიერებების შეტანის თვალსაზრისით, რასა გაყოლებად, ფალსიფიკაციად თვლიდა. ამდენად, ეს მხარე ევროპელ მეცნიერთა მოღვაწეობასა ქართული სინამდვილისათვის მოუღებლად მიანდა და 2) დადებითად აფასებდა ევროპელ მეცნიერთა იმ მიღწევებს, რომელთა დანერგვა ჩვენში უფრო ვაიმარტივებდა და გააიოლებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს. შეამსუბუქებდა უშუალო მწარმოებლის მიწათმოქმედის შრომას და ეფექტურს გახდიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

პაპა გრიგორიძე

რხავერი ვარდისფერყურძნაანი ერთ-ერთი საუკეთესო საღებავი ჯიშია. სოკოვან დაავადებათა და ფილოქერის გამოჩენამდე (XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლები) იგი ფართოდ იყო გავრცელებული გურიასა და აჭარაში. პროფესორ მაქსიმე რამიშვილის მონაცემებით გურიაში ცნობილი იყო ჩხავერის შემდეგი მიკრორაიონები:

სუფსის ხეობა – სუფსა ბუკისციხე, დაბლაციხე, საკვეის ტყე, ფარცხმა, ახალსოფელი, გოგლასუბანი, სამება, ვანი, ზომლეთი. გუბაზოულის ხევი – ახალშენი, ხიდისთავი, ზენოუბანი, შოუბანი, ზემო ერეთი, ხევი, ბუენარი, ქვენობანი, ბასილეთი, ჭაჭიეთი, ხევისწყლის ხევი – მარცხენა სანაპირო, საჭამია-სერი, გურიანთა, კონხარი, ნაკადული, ქვემოხევი, ჩოხეთი, ვანთაიცი.

ოზურგეთის რაიონში გამოიყოფა მიაღლ-მთიანი საშუალო და დაბალმთიანი ზონა.

სუფსის ხეობაში – ნავომარი, ახალსოფელი, გურიანთა, მერია, კახური, შრომა, ვაკე. ბახვის წყლის ხეობა – ბახვი, ასკანა, ვინისქედი, მოისპირი, ნასკირალი, პამპალეთი.

ნატანების ხეობა – ბაღდათი, ვაკეჯვარი, ცხემლის ხიდი, დეაბზუ, ნატანები, გორი.

ლანჩხუთის რაიონი – ნივოეთი, ღანჩხუთი, ქვიანა, ჭვინავგორა, ღესა, ეწერი, ბაღლეფა, ნინოშვილი, აცანა, მამათი, ვაგური, ქვემო აკეთი, ზემო აკეთი და სხვ.

ამ სიის გავრცელება შეიძლება აჭარის მედიცინის მიკრორაიონების ჩამოთვლით და საოცარი ის არის, რომ მაჰმადიანური რელიგიის მკაცრი წესების მიუხედავად აჭარელი ქართველი მუსულმანები მაჰმადიან ადათწესებს არ დალატობენ და საუკეთესო ღვინოების წარმოებასა და მოხმარებას არ გადაწყვენიან. უფრო მეტიც, მათ ხალხური სელექციის გზით შრავალი ვახის ჯიშში გამოიყვანეს და შემოგვიანაგეს მომავალ თაობაზე გადასაცემად. აჭარის შემადგენულ ზონაში ჩხავერის საუკეთესო ღვინოს ამჟამად აყენებენ.

მე-19 საუკუნის შუა წლებამდე მევენახეობა გურიის მოსახლეობის დასაქმების ძირითად სფეროს წარმოადგენდა, ხოლო ვახის კულტურის წარმოების დასაწყისი ისტორიამდელ პერიოდს განეკუთვნება. 1851 წელს დასავლეთ საქართველოში გამოჩნდა ამერიკიდან შემოტანილი ვახის პარაზიტი სოკო ოდიუმი (ვახის ჭრახტი), შემდგომ კი – ვახის ნაცარი (ბილდუმი) და ვენსვის მავნებელი მწერი – ფილოქერა.

ამ მავნებელ დაავადებათა გავრცელებამ გამოიწვია მევენახეობა-მეღვინეობის კრიზისი მთელ ევროპაში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც.

გურია-სამეგრელოს რეგიონში ამ დროს 150 ადგილობრივი ქართული ვახის ჯიშში აღრიცხებოდა, დაიწყო ამ ჯიშების ნარვაობის განადგურება ახლად შემოსულ მავნებელ-დაავადებათა მიერ. მოსახლეობას ხელიდან გამოეცალა მამა-პაპური მასაზრდოებელი დრავი მევენახეობა-მეღვინეობა. ადგილობრივი მიაღლხარისხოვანი პროდუქციის მოძებნი ჯიშები, მათ შორის ჩხავერი, წარმოებდნენ განიდევნა და მის ნაცვლად მავნებელ დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლე, მაგრამ მდარე ხარისხის პროდუქციის მოძებნი ამერიკული ჯიშების იზაბელა (ადესა), ნოსა, ზიბელის, ბაკოს კიბრიდების დანერგვა დაიწყო.

იზაბელა (ვიტის ლაბრუსკას სახეობის ვახის ჯიშში) პირველად გამოუწერია გურიაში მიხეილ ერისთავს, ხოლო სამეგრელოში დავით დადიანს მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში.

ადილი არ იყო ჩხავერისა და ოჯალემის მიაღლხარისხოვანი ღვინის მომხმარებელი გურულებისა და მეგრელების იზაბელას ღვინოზე გადასვლა, როგორც ერთივე ნაკაშიძე აღნიშნავს (1886წ.). ვენახის მეპატრონეთა აზრით იზაბელას ჯიშის ღვინო მანეთა ორგანიზმისთვის: სხეულზე ჩნდება გამოწყარო, იწყებს თვალის ტკივილს და სხვა. ამიტომ გურულებისა და მეგრელების ნაწილი, განსაკუთრებით კი უფროსი თაობა, არ სვამენ იზაბელას ღვინოს, აღნიშნა-

ეს იმ დროის ცნობილი სპეციალისტი მექანიკე ე. ნაკაშიძე, თუ იმ დროს ჩხავერი გურიაში ყველაზე იყო გავრცელებული, ცოტა მოგვიანებით იგი შემორჩა გურია-აჭარის მთების ფერდობებს ლიხაურის, მაკვანეთის, შუიკოქედის, ბაღდადის და ასკანანს სოფლებში, მოგვიანებით კი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართ საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის გამო გურია-სამეგრელოში შეენახოდა დაკარგა სამრეწველო ხასიათი და ჩხავერი ე.წ. მოყვარულთა მზრუნველობის ანაბარა დარჩა.

ჩხავერის აღორძინება დაიწყო ძეორე სამაშულო ომის დამთავრებისთანავე. ოზურგეთში ს. პაპუაშვილი, ჩხავერი გამოენდა 30 ჰექტარზე, დაიკავმა აგრეთვე ჩოხატაურის რაიონში საჭამაძის ჩხავერის მუერეობის შექმნა. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს მთავრობის ჩხავერით დაინტერესების და მისი აღორძინების მიზეზის საიდუმლო გამჟღავნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოვანებები, რომლებიც ვერ უყრნად „ცისკარში“ დაიბეჭდა, ხლო შემდეგ კაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამობეჭდა. ამ მოვანებებიდან ირკვევა, რომ 1945 წლის ბოლოს ი. სტალინმა გაგრაში მიაბატოვა ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი, კ. ჩარკვიანი და მ. ზანდუკელი. როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, საუბრის ძირითადი თემა იყო იმ წლებში ახლად გამოხული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდა ი. სტალინი, მაგრამ ამავე დროს სერიოზულ დამაფიქრებელ მოსაზრებებსაც გამოთქვამდა ისტორიის სახელმძღვანელოს იმ თუ იმ თავის გამო.

კერძოდ, მას უთქვამს, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უნდა გახდეს იმის მაგივრით, თუ როგორ უნდა დაიწყოთ მოკავშირე ერების ისტორიები. უკმაყოფილება გამოუთქვამს იმის გამო, რომ ახლა ყველა ერს ნაციონალური ისტორიის ნაცვლად რუსეთის ისტორიას ასწავლიან. სტუმრები რამოდენიმე დღეს დარჩნენ სტალინის რეზიდენციაში, სადაც მიმდინარეობდა ოფიციალური შეხვედრები. შესხვედრების დროს კი სტალინის საუბარი ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს კი გურული რევოლუციონერი მგობრები მოუკითხავს და თან დაუყოლებია,

გურულები ჩხავერის ღვინოს კიდევ უფრო მეტად თუ არაო. ისიც უთქვამს, ჩაი და ციტრუსები გურიის ეკონომიკას დააწინაურებს, მაგრამ ჩხავერის დაკარგვა არ შეიძლებაო. ეს ამბავი იმ წლებში არ ვახსოვრდება. ისე კი ვადაიღვა პრაქტიკული ნაბიჯები ბავნი და საჭამაძის გურიაში ჩხავერის ასალომინებლად. იმასაც ამბობდნენ, იქ მყოფანოი ჩხავერის ღვინო სტალინთან იგზავნილობო. ამას ამტკიცებდა სამტრედიის მთავარი აგრონომი პეტრე მასარაშვილი და შებაღობა-შეენახობის სკ ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი ანანიაშვილი, რომელიც იმ წლებში სამტრედიის თანამშრომელი იყო.

მე კი, ამ სტრიქონების ავტორს, ერთი, მამაჩემის მონახობით ამბავი გამახსენდა; გურიაში რაიონის სოფელ ახალსოფელში ძირითადად ამბროლაურის რაიონიდან 1941 წ. ჩასახლებული რაჭველები ცხოვრობდნენ (ჩემი ოჯახიც მათ შორის).

ახალშემქნილ კოლმეურნობას მხარში დაუდგა აფხაზეთში მაცხოვრებელი აგრონომი ალექსანდრე იობიძე, რომელმაც რაჭველებს მათთვის უფრო კარგად ნაცნობი კულტურის — ვაზის გაშენება ურჩია და ამ საქმეში თვითონ დაუდგა გვერდში. რამოდენიმე ჰექტარი ვენახი და ვაზის ჯიშების საკოლექციო ნაკვეთი (210 ჯიში) რაჭველებს გაშენებული დახვდათ.

აგრონომი იობიძე ამ ვენახში ცხოვრობდა, სულ თავს დასტრიალებდა კოლექციას და მამნ, როცა მამაკაცები დიდი სამაშულო ომის ფრონტზე გაიწვიეს, ალექსანდრე იობიძემ შეძლო ქალებისა და ბავშვების შრომის გამოყენებით გადაერჩინა აფხაზური, მგურული და სხვა ვაზის უნიკალური ჯიშები დალუპვისაგან.

ა. იობიძე, რომელიც არასოდეს შეხებულაბაში არ ყოფილა და იმ წლებში სოფლიდან არ გასულა, 1946 წელს უცებ გაუჩინარდა და მშობლები სოფელში ორი კვირის შემდეგ ვაზის რქებით დატვირთული დაბრუნდა. მან გლეხებს უთხრა, გურული ვაზის ჯიში ჩხავერი ჩამოვიტანეო.

შემდეგ, ე.ი. 1947 წელს იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ავადსახსენებელი ბობბორის აეროდრომია გაშენებულია, იობიძემ 1,5 ჰექტარი ამაყინი ჩხავერის დაბლარი ვენახი გააშენა. ასე ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთის ჩხავერს. ფართობები ყოველწლიურად მატულობდა, რამდენიმე წელში ჩხავერის ნარეაობამ 100 ჰექტარს

გადააჭარბა.

მისი გამო, რომ გურიისა და აჭარაში ჩხავერი მაღლარის სახით იზრდებოდა, დაბლარად მისი მოვლა-მოყვანა არც ისე იოლი აღმოჩნდა, ახალ სოფელში ა. იობიძის ხელმძღვანელობით შემუშავდა ჩხავერის ჯიშოური აგროტექნიკა, დაყენდა სხვადასხვა ტიპის ღვინოები (შმრალი, ცქრიალა). მალე (ხრუშჩოვის სათავეში მოსვლის შემდეგ) კოლმურერნობებს ღვინის წარმოება და რეალიზაცია აეკრძალათ; ყურძნის შესყიდვა დაიწყეს სამტრედიისა და ცეკაშირის ღვინის ქარხნებმა, მათ მიერვე დადგენილ ე.წ. სახელმწიფო ფასებში.

მიუხედავად ამისა, ჩხავერის გაშენება კოლმურერნობაში არ შეწყვეტილა. ამ სიტყვების ავტორს მოუწია მუშაობა ახალსოფლის აგრონომად ბატონ ა. იობიძესთან ერთად და მამინ ჩხავერის ნარგაობის საერთო ფართობმა 150 ჰექტარს მიაღწია, საჰექტარო მოსავალი კი 12-14 ტონას აღწევდა. ჩხავერის ყურძნის შაქრიანობა ზღვის დონიდან 20 მ სიმაღლეზე 19-21-ს შეადგენდა, ხოლო მჟავიანობა - 10-12 პრომილეს. ახალსოფელში შექმნილი იყო ვაზის საწერე, სადაც ვაჭარობობდით უნიკალური ჯიშების ნერგს, რომელიც ამარავებდა მიუღ აფხაზეთს. ამ გზით ჩხავერის და ოჯალუმის ნარგაობები კიდევ უფრო გაიზარდა. ჩხავერის გამრავლებას ხელი მოჰკიდა ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მურერნობამ, ს. ღვინის კოლმურერნობამ და ა.შ.

ფერდობ ადგილებზე ჩხავერის შაქრიანობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო. მაგ. ზღვის დონიდან 100-150 მეტრზე მდებარე ს. ღვინის ჩხავერის ვენახებში შაქრიანობა 23-25%-ს აღწევდა და შენარჩუნებული იყო მაღალი მჟავიანობა 8-10%, რაც ამ ჯიშისათვის დამახასიათებელია და ღვინის პროდუქციის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ჩხავერის აფხაზეთში გამოცდის დაწყება სტალინის სურვილის გამოძახილი იყო, რაც წარმატებით დამთავრდა. უპარტიო აგრონომს ა. იობიძეს შესაძლებელია ეს ცნობა ა. მგელაძისგან მიეღო, რომელიც მაშინ აფხაზეთში მოღვაწეობდა და ა. იობიძესთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ამ ვერსიის სასარგებლოდ ისიც მტყუტვლებს, რომ ა. იობიძემ გურიიდან მხოლოდ ჩხავერი ჩამოიტანა და არა სხვა ჯიშები. ასეა თუ ისე, საქმე გაკეთდა - აფხა-

ზეთში ჩხავერი გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩხავერის ეპატრონებოდა ყოველწლიურად 1500-2000 ტონა ჩხავერს იბარებდა, რაც სამარკო ღვინის „ჩხავერის“ წარმოადგენდა. ჩხავერის ნარგაობა, მისი საერთო ფართობი გურია-აჭარასა და აფხაზეთში საკმაოდ მძლავრ სანედლეულ ბაზას ქმნიდა იმ დროისათვის. ისარგებდა ჩხავერის ნარგაობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა თავდაყირა დააყენა საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლები. ყველა სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო კულტურასთან ერთად ნერგეც განიცადა საქართველოს ყველაზე უძველესმა დარგმა მეღვინეობამ და მევენახეობამ. ათასობით ჰექტარი ვენახი გაიჩნა და განადგურდა. ვაზის უნიკალური ჯიშის ჩხავერის სამრეწველო ნარგაობა მთლიანად დაიღუპა, როგორც გურია-აჭარაში, ისე აფხაზეთში. ვაზის ჯიშის ჩხავერი მესამედ აღმოჩნდა განადგურების საფრთხის წინაშე. ჩხავერისათვის შესაფერის საუკეთესო ექსპოზიციის ნაკვეთებზე ან თხილის გაშენება დაიწყეს, ან ეკალბარდები და ბუჩქნარები გამრავლდა. ასევე მოუვიდა მავის ცნობილ ჩხავერის მურერნობასაც, ჩხავერის ნაცვლად მოიყვარდებოდა თხილი გააშენეს.

ჩემი გულისტკივილი ცნობილ ბიზნესმენებს მძებს ჩხაიძეებს და „მარტინ ბაურის“ ფირმის გენერალურ დირექტორს ბატონ შალვა ცეცხლაძეს გაგანდე. ნათქვამია, „კარგ მთქმულს კარგი გამოეჩენ უნდაო“.

ბატონი შალვა ცეცხლაძე უცებ მიხვდა პრობლემის არსს და იმოცა თანამაზრენი; პირველ რიგში ბავის ჩხავერის საბჭოთა მურერნობის შექმნის და მისი დირექტორის მანუარ მამიფილის ვაჟიშვილი ჭაბუკა მამიფილი, ბ. დუმბაძე, ლევან თოიძე, ბადრი ჯაფარიძე და სხვ. პირველი პრობლემა გახდა ჩხავერის სარგავი მასალის შოვნა. ჩვენს მიერ დადგენილი იქნა, რომ ჩხავერის სამრეწველო ნარგაობა აღარ სესობს არც გურია-აჭარასა და არც აფხაზეთში. ვენახები მთლიანად განადგურებულია და საუკეთესო ექსპოზიციის ჩხავერის ზერების ადგილები თხილსა და სხვა კულტურებს უჭირავს. 1998-1999 წლები გურია-აჭარის გლეხური მურერნობების შემოვლასა და ჩხავერის ცალკეული ძირების გამოვლინებასა და აღრიცხვას მოვან-



დომეთ. ზოგ ვლევს I, იშვიათად კი 5-6 ძირი ხეზე გაშვებული ჩხავერი აღმოჩნდა. გვიშველა იმანაც, რომ მებაღეობა-მევენახეობისა და მღვინეობის სქ ინსტიტუტის ვაშლაჯარის ბაზაზე (თბილისში) გაშენებული ვეჯინდა აპარანტ სოსო მუმლაურის მიერ აფხაზეის ნარგაობებში გამოვლენილი ჩხავერის უხეშოსავლიანი კლონი. გურია-აჭარის ვლევურ მურენობებში და ინსტიტუტის ბაზაზე აჭრილი კვარტით კანეთში ვაზის ნერგის წარმოების საუკეთესო ოსტატს ზურაბ მჭვლიძეაღის ნერგის წარმოება შეეუკვეთეთ. კანეთში გამოყვანილი ნერგით აპარანტის ყოფილ მევენახეობის საბჭოთა მურენობის ტერიტორიაზე ახლად გაშენებული თხილის არც თუ ისე პერსპექტიული ნარგაობა ლიკვიდირებულ იქნა და მის ადგილზე ჩხავერის ვენახი გაშენდა. ასე დაიწყო ჩხავერის აღორძინება გურიაში. მიმანდობლივია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ფორმის წარმოებული ჩხავერის და ოჯალუმის 10 000 ძირი ვაზი ვაკერის აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოშფერებებელი კომისიის შუამდგომლობით გადაეცა აფხაზურ მხარეს. ამრიგად, ჩხავერმა და ოჯალუმმა აფხაზეთშიც დაიწყო აღორძინება.

მეთიხვეს ალბათ ანტურეებს, მას წარმოადგენს ჩხავერი. რატომ ვუიძობთ მას ასეთ ყურადღებას; ჩხავერი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ვაზის ჯიშია. იგი წარმოშობადაც ვაზის ჯიშთა წარმოქმნის კოლხეთის კერაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაზის ჯიშთა წარმოქმნის კოლხეთის კერა არ შემოიფარგლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი. ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევებით დამტკიცებულია, რომ ჯიშთა წარმოქმნის კოლხეთის კერა მოიცავს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს და აღმოსავლეთ სანაპიროს ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ვაგრა, სოკი, ტუაფგის ხაზს კავკასიონის ქედამდე. კოლხეთის კერაში გამოიყოფა აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფები, როგორც არის გურიის, აჭარის, აფხაზეთის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის.

რაც შეეხება ჩხავერს, იგი მესამედ იქნა გადარჩენილი და აღდგენილი გურიის დალოცვილ მიწაზე. როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოში, ისე გურიაში მევენახეობის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს. ამჟამად მხოლოდ გურიის მევენახეობის პრობლემებს შეეხებით.

ხშირია შემთხვევა, როცა ვეჯის ქვეშ აფხაზებენ დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით კი გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზანშეწონილუბას. მას ხშირად აღადგენენ კანეთს და ამტკიცებენ, რომ დასავლეთ საქართველოს ღვინოები კახურს არ შეედრება. ჩვენი აზრით, ასეთი შედარება და დასკვნა მცდარია, რადგან საქართველოს ვაზის გენიფორმის 70% შექმნილდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ე.წ. ვაზის ჯიშთა წარმოქმნის კოლხეთის კერაში და ეს ჯიშები ჩვენი წინაპრების მიერ გამოყვანილი იყო მაღალხარისხოვანი ღვინოების მისაღებად.

დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშთა ჩხავერი, ოჯალუმი, არგვეთული საფურე, კახეში, ათაყი, ალექსანდროული, მუჯურეთი უმაღლესი ხარისხის ღვინოებს იძლევიან.

ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ მეგრული ჯიშთა ოჯალუმისაგან დამზადებულ ღვინოს, რომელიც დადიანების სიძემ ა. მიურატმა პარიზის ღვინოების გამოფენაზე წარადგინა 1912 წელს ოქროს მედალი მიენიჭა, ხოლო 1881 წელს პარიზში გამოცემულ ფოქსის მევენახეობის სახელმძღვანელოში კაეკასიის წითელგურძნისანი ჯიშებიდან მხოლოდ ორი ჯიშთა შეტანილი — საფერავი და ჩხავერი. ამით იმის დამტკიცება ვერნდა, რომ დასავლეთ საქართველოში ვაზის ჯიშების და მათგან წარმოებული მაღალხარისხოვანი ღვინოების სიმრავლე ადასტურებს საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზანშეწონილობას.

ამ მიმართულებით გურია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

გურიის მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიული მიკრორაიონები უკვე ჩამოვთვალეთ სტატიის დასაწყისში. აქვე ვვინდა აღვნიშნოთ, რომ გურია, თავისი მრავალფეროვანი ნიადაგურ-მიკროკლიმატური პირობებით უზრუნველყოფს ღვინის ფართო ასორტიმენტის წარმოებას. ჯიშური თავისებურებებისა და წარმოების ეკოლოგიური პირობების მიხედვით ჩხავერისაგან შეიძლება წარმოებული იქნას სუფრის როგორც თეთრი, ისე ვარდისფერი, შხრალი და ბუნებრივად ნახევრადტყეპილი ღვინო. ცქრილა ღვინო (შამპანურის ტიპის). ასევე მაღალხარისხოვანი


წითელი ღვინო მიიღება ჩხავერისა და ღვჯელეშის კუპაისა და სუპაის შედეგად.

იშვიათად მოიძებნება ისეთი ვაზის ვიში, რომელსაც ასე პრაქტიკულად პროდუქციის მოცემა შეუძლოს. ისიც აღსანიშნავია, რომ მისთვის დამახასიათებელი მაღალი შაქრიანობისა (20-26%) და მაღალი მჟავიანობის (0,8-1,2 გრ/ლიტრზე) დროს ღვინის პროდუქცია მეტად სტაბილურია.

არაზუსტი მონაცემებით გურიის რეგიონში ჩხავერმა შეიძლება 10000 ჰექტარზე მეტი ფართობი დაიჭიროს. სხვა — ფორმირების პროგრესული მეთოდების გამოყენებით, რომელიც შევინაზღობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშია შემუშავებული, ჩხავერის ვიშის თითოეულ ჰექტარზე შესაძლებელია 10-16 ტონა ყურძნის მიღება, რაც მთლიან




გურიის მასშტაბით 100-160 მილიონ ტონა ხელოვნების ხარისხსთან შედარებით წარმოადგენს და რეგიონის ეკონომიკური აღორძინების მნიშვნელოვან ბერკეტს შექმნის.

ამ რჩევის მიცემა შეუძლებელი იყო 4-5 წლის წინათ, როცა ჩხავერის სუფთა ხარგაობა არ არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც ფორმამ — „ქართული ორიგინალური ღვინობი“ — ჩვენი მონაწილეობით ბაზვის მიკრორაიონში ჩხავერის ვიშის სუფთა ვენაზე გააშენა, შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის კვირტის აჭრა და სარგავი მასალის წარმოება. ჩვენ მოვუწოდებთ ამ დარგით დაინტერესებულ ბაზენისმენებს, მიაქციონ ყურადღება გურიაში ჩხავერის აღორძინებას. ჩვენი ღრმა რწმენით ჩხავერი ააღორძინებს გურიას.



სვეტის თავი ვაზისა და ყურძნების რელიეფური გამოსახულებით. ქუთაისი, ბაგრატიის ტაძრის სამხრეთი შესასვლელი (XI ს.).

Capital with a relief representation of vine and grapes. Kutaisi, southern entrance to Bagrati Church. 11th cent.



ვაზის ღერწის ნაწილები ვერცხლის
გარსაკრავებით შემოსაღრული. ბეჭები.
ტყ. III ათასწლეულის II ნახევარი

Parts of vine cutting with silver hoops
round it;
The hoops have no soldering rib.
Bidni. Second half of the 3rd millennium
B.C.

ი 93/45

ჟურნალის ჩანართზე მოთავსებული ვაზის ფიშებისა და 31-ე, 81-ე, 126-
ე, 127-ე გვერდებზე მოთავსებული ფოტოიდუსტრაციები გადმობეჭდილია
წიგნიდან: „ვენაზი, ღვინო და ქართველები“, თბ., 2004წ.

97-ე გვერდზე მოთავსებულია ფოტოასლი გიორგი ბოლქვაძის ფერმის
კონიაკისა, რომელმაც 1978 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე დაიმსა-
ხურა დიდი ოქროს მედალი.

ჟურნალი „ვაზი და ღვინო“

მოავარი რედაქტორი
თეიმურაზ ღლონტი
მხატვარი
ანსორ თოდრია
ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღლონტი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, არჩილ გვლოვანის გამზირი 6

საბეჭდი თაბანი - 60x84 1/8
ტირაჟი - 300

La Revue "Vazi Da Gvino" (Vigne et vin)
Redaction: 6, A.Gelovani 380015
Redacteur en chef: Teimuras Glonti
Peintre: Anzor Todria



"... სურვილური ქონებ მართლად ქონება... სურს ქონებში
 არა არის - რა, ვარა უყრდნობ სურს. სურვილური ქონებ ყოველს
 რაოვანდარად არა მისი სეს სავსე არა უკონია. თუ უსურს, რომ
 რისკობს სავსეში სურს ქონებ არაველი რაოვანდარად რა
 ... ქონებებს აკონება რა ვს რაოვანდარად. ეს მართლად იმით
 მისდარად მთარა, რომ ვსავსეველი რაოვანდარად ... ქონება
 სურს მართლად ქონებ სურს სურს. აქ სურს ვსავსეველი
 უყრდნობა."

126-11 



აქაყრო ვოოქვავოი შოწხანონ ვოწხხ. ვორო
როოვორო, თოვონთოვოო დოროვოროოროოო
ქონოწხონ რო შოროო როოვოროო, მონ-წონ
ნაშრომ-ნოოვონონ ნახოოვონონ რო ნაშონ.
ოწ ქონოწროოი რო წნოწროოი რონონწხ
ვოწხონ. იროვოო შოოროოო, იოქოოო
ქონოვოო იწროვოო ვოოვოოვოოვოო აქაყრო
ვოოქვავოონონ სოქონვოონონ. მონონ
ბოოქონონ რო ბოოონონ მონონონონ.

25-01 